2017 წელს, ხელმძღვანელობამ შპს „ბიდიოს“ დაავალა ძირითადი საშუალებების დამოუკიდებელი შეფასების განხორციელება, ნაყოფის მომცემი კულტურებისა და დაუმთავრებელი მშენებლობების გამოკლებით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შეფასდა ცვეთას დაქვემდებარებული ანაზღაურებადი ღირებულება შიდა წყაროების და მსგავსი ძირითადი საშუალებების ქართული და საერთაშორისო ბაზრების ანალიზის საფუძველზე. მოპოვებულ იქნა სხვადასხვა ბაზრის მონაცემები გამოქვეყნებული ინფორმაციიდან, კატალოგებიდან, სტატისტიკური მონაცემებიდან და სხვა.

ცვეთას დაქვემდებარებული ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრასთან ერთად, ჩატარდა ფულადი სახსრების მოძრაობის კვლევა (იხილეთ შენიშვნა 11(c)).

(c) ძირითადი საშუალებების გადაფასება და ანაზღაურებადი ღირებულება

„ჯგუფის“ სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, „ჯგუფის“ ძირითადი საშუალებები (გარდა დაუმთავრებელი მშენებლობებისა და ნაყოფის მომცემი კულტურებისა, რომლებიც თვითღირებულებით აღირიცხება) სამართლიანი ღირებულებით ფასდება.

„ჯგუფის“ ძირითადი საშუალებების უმრავლესობა სპეციალიზებულია ბუნებაში და იშვიათად იყიდება ღია ბაზარზე, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ეს მუდმივი საქმიანობის ნაწილს წარმოადგენს. მიწის ნაკვეთის გარდა, რომელიც ბაზარზე არსებული მიმდინარე ოპერაციების საფუძველზე ფასდება, მსგავსი ძირითადი საშუალებების ბაზარი აქტიური არ არის საქართველოში და არ ხდება შედარებადი ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ოდენობით გაყიდვა, რაც შესაძლოა გამოყენებულ იქნას ბაზარზე დაფუძნებული მიდგომის გამოსაყენებლად სამართლიანი ღირებულების განსაზღვრად, სარეალიზაციო ღირებულების გამოკლებით.

სს „შატო მუხრანი“

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების (დაუმთავრებელი მშენებლობების და ნაყოფის მომცემი კულტურების გამოკლებით) სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 7,875 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც სამართლიანი ღირებულების მე-3 დონის კატეგორიას მიეწერა გამოყენებული საშემფასებლო ტექნიკების მონაცემების საფუძველზე (იხილეთ მე-4 შენიშვნა).

იმ გაუფასურების ინდიკატორების გათვალისწინებით, რომლებიც არსებობდნენ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შვილობილი კომპანიის ხელმძღვანელობამ განაახლა 2014 და 2015 წლებში საქმიანობის საბაზრო ღირებულების განსაზღვრაში გამოყენებული მოდელი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საბაზრო ფასი წარმოადგენს მაჩვენებელს, რომელიც მიიღება მთლიანი საქმიანობის სამართლიან ღირებულებზე სარეალიზაციო ღირებულების გამოკლებით. საბაზრო ღირებულების განსაზღვრაში, ხელმძღვანელობამ რამდენიმე შესადარისი კომპანია გამოიყენა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბაზრო ღირებულების დაანგარიშებაში ხელმძღვანელობა გამოიყენა შემდეგი მნიშვნელოვანი დაშვებები:

- საბაზრო ღირებულების საშუალო მნიშვნელობის კოეფიციენტი 3,05/შესადარისი კომპანიების ამონაგების მულტიპლიკატორი;
- გაანგარიშებაში გამოყენებულ იქნა მიმდინარე წლის შემოსავლის თანხა; და
- გამოყენებულ იქნა 36.2%-იანი კონტროლის პრემია.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი საქმიანობის საბაზრო ღირებულება (ე.ი. სამართლიან ღირებულებას გამოკლებული სარეალიზაციო ღირებულება) შეფასდა 15,2 მილიონ ლარად. ეს თანხა წარმოადგენს მოგების წარმომქმნელი აქტივების (სამუშაო კაპიტალი, ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები და სხვ.) ღირებულებას, მშენებლობის პროცესში მყოფი აქტივების გამოკლებით, რომლებიც ჯერ არ ახდენენ ფულადი ნაკადების გენერირებას და რომლებიც არ მიიჩნევა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ნაწილად.

ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულების დასაანგარიშებლად, ხელმძღვანელობამ 15,2 მილიონი ლარი მოარგო წმინდა სამუშაო კაპიტალის ნაშთს 6,5 მილიონი ლარის (უმეტესად მარაგები) ოდენობით. ამის საფუძველზე, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდა 8,7 მილიონ ლარად. „ჯგუფის“ ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებული გაუფასურების ტესტის შედეგად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების გაუფასურება არ ყოფილა იდენტიფიცირებული.

ხელმძღვანელობამ განსაზღვრა სამი მნიშვნელოვანი დაშვება, რომლისთვისაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გონივრულ ცვლილებას, რამაც, შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ საბალანსო ღირებულებამ გადააჭარბოს მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების ოდენობას. ზემოთ ხსენებული შეფასებები ძირითადად სენსიტიურია შემდეგ სფეროებთან მიმართებაში:

- საბაზრო ღირებულების/შემოსავლის მულტიპლიკატორი კლება 0,05 საბაზისო პუნქტით (3,05-დან 3,0-მდე) საბაზრო ღირებულებას 14,9 მილიონ ლარამდე შეამცირებდა, რაც 0,3 მილიონი ლარის გაუფასურებას გამოიწვევდა.
- შემოსავალში 10%-იანი კლება საბაზრო ღირებულებას 12,1 მილიონამდე შეამცირებდა, რაც 1,6 მილიონი ლარის გაუფასურებას გამოიწვევდა.
- საკონტროლო პრემიაში 5%-იანი კლება გაზრდიდა საბაზრო ღირებულებას 15 მილიონ ლარამდე, რაც 0,2 მილიონი ლარის გაუფასურებას გამოიწვევდა.

2017 წელს, ხელმძღვანელობამ შპს „ბიდიოს“ დაავალა ძირითადი საშუალებების დამოუკიდებელი შეფასების განხორციელება, ნაყოფის მომცემი კულტურებისა და დაუსრულებელი მშენებლობების გამოკლებით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება, ნაყოფის მომცემი კულტურებისა და დაუსრულებელი მშენებლობების გამოკლებით, განისაზღვრა 10,588 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც განეკუთვნა სამართლიანი ღირებულების მე-3 დონის კატეგორიას, გამოყენებული საშემფასებლო მეთოდის მონაცემების საფუძველზე (იხილეთ შენიშვნა 4).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ჯგუფის“ გადაფასებული ძირითადი საშუალებების ნაწილი ბუნებაში სპეციალიზირდება და იშვიათად იყიდება ღია ბაზარზე, გარდა უწყვეტი საქმიანობის შემადგენელი ნაწილისა, შესაბამისად ძირითადი საშუალებების ამ ერთეულების სამართლიანი ღირებულება უპირატესად განისაზღვრა ჩანაცვლების ამორტიზირებული ღირებულების გამოყენებით. ეს მეთოდი მოიცავს ძირითადი საშუალებების გამოშვების ან გამოცვლის ხარჯს, რომელიც იცვლება ფიზიკური, ფუნქციური ან ეკონომიკური ცვეთის, ასევე დაძველების გათვალისწინებით. დანარჩენი ძირითადი საშუალებები შეფასდა მიმდინარე საბაზრო ოპერაციების საფუძველზე.

ცვეთის ჩანაცვლების ხარჯი შეფასდა შიდა წყაროების და მსგავსი ძირითადი საშუალებების ქართული და საერთაშორისო ბაზრების ანალიზის საფუძველზე. ბაზრის სხვადასხვა მონაცემები მიღებულია გამოქვეყნებული ინფორმაციიდან, კატალოგიებიდან, სტატისტიკური მონაცემებიდან და სხვ.

ცვეთის ჩანაცვლების ხარჯის განსაზღვრებასთან ერთად ჩატარდა ფულადი ნაკადების გამოცდა, რომელშიც გამოყენებულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი დაშვებები:

- ფულადი ნაკადები დაიგეგმა განვლილი გამოცდილების, ფაქტიური საოპერაციო შედეგებისა და „ჯგუფის“ ხუთწლიანი ბიზნეს გეგმის საფუძველზე.
- მთლიანი წარმოების მოცულობა დაიგეგმა დაახლოებით 414 ათასი ბოთლის ოდენობით ბიზნეს გეგმის პირველი წლის განმავლობაში. წარმოების საპროგნოზო წლიური ზრდა 2019 წელს განისაზღვრა საშუალოდ 4% და 7%-ით. ხელმძღვანელობა გეგმავს წარმოების მოცულობა გაზარდოს 533 ათას ბოთლამდე ბიზნეს გეგმაში განსაზღვრული მეხუთე წლისთვის.
- გაყიდვების საშუალო ღირებულება ერთ ერთეულზე და ერთეულის წარმოების ხარჯი დაგეგმილია გაიზარდოს 3%-ით 2018 წლის განმავლობაში და საშუალოდ 3%-ინ ყოველ მომდევნო წელს. სხვა ხარჯების გაზრდა იგეგმება ინფლაციის გათვალისწინებით.
- გამოყენებულ იქნა ფასდაკლების განაკვეთი 14.52%-ის ოდენობით. ფასდაკლების განაკვეთი განისაზღვრა ინდუსტრიის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე. ფულადი ნაკადები დაგეგმილია ლარში.
- საბოლოო ღირებულება მიღებულ იქნა 5-წლიანი პერიოდის ბოლოს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბოლოო ღირებულების განსასაზღვრად გათვალისწინებულია საბოლოო განაკვეთი 2.3%-ის ოდენობით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი ნაკადების ტესტირების შედეგად სპეციალიზებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შემცირდა 660 ათასი ლარით მათ ცვეთის ჩანაცვლების ხარჯამდე 459 ათასი ლარის ოდენობით. დამოუკიდებელმა შემფასებელმა დაასკვნა, რომ სპეციალიზებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ლიკვიდაციის ღირებულებას არის მიახლოებული.

ზემოთ წარმოდგენილი შეფასებები, რომლებიც ფულადი ნაკადების ტესტირებაში გამოიყენება, არ არიან მგრძნობიარე რომელიმე მნიშვნელოვანი დაშვების მიმართ, რადგან სპეციალიზებული ძირითადი საშუალებები აღირიცხა სალიკვიდაციო ღირებულებით და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ფუნქციონირებადი ძირითადი საშუალებების დანარჩენი ნაწილი შეიცვალა მათ საბაზრო ღირებულებამდე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გაუფასურების ინდიკატორების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობამ ჩაატარა გაუფასურების ტესტირება ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულების განსასაზღვრად.

ფულადი ნაკადების შემოწმებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი დაშვებები:

- ფულადი ნაკადები დაიგეგმა განვლილი გამოცდილების, ფაქტიური საოპერაციო შედეგებისა და „ჯგუფის“ ხუთწლიანი ბიზნეს გეგმის საფუძველზე.
- მთლიანი წარმოების მოცულობა დაიგეგმა დაახლოებით 2,337 ათასი ბოთლის ოდენობით ბიზნეს გეგმის პირველი წლის განმავლობაში. წარმოების საპროგნოზო წლიური ზრდა 2017 წლისთვის მოსალოდნელია იყოს საშუალოდ 46% და 12%-ით. ხელმძღვანელობა გეგმავს წარმოების მოცულობა გაზარდოს 3,633 ათას ბოთლამდე ბიზნეს გეგმაში განსაზღვრული მეხუთე წლისთვის.
- გაყიდვების საშუალო ღირებულება ერთ ერთეულზე დაგეგმილია გაიზარდოს 1%-ით 2017 წლის განმავლობაში და 2%-ით ყოველ მომდევნო წელს.
- ერთეულის წარმოების ხარჯი მოსალოდნელია 5%-ით შემცირდეს 2017 წელს და გაიზარდოს 1%-ით ყოველ მომდევნო წელს. სხვა ხარჯების ზრდა არის დაგეგმილი ინფლაციის ზრდასთან ერთად.
- გამოყენებულ იქნა დისკონტირების 13,5%-იანი განაკვეთი. დისკონტირების განაკვეთი შეფასდა ინდუსტრიის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე. ფულადი ნაკადები დაიგეგმა აშშ დოლარში, იმის გათვალისწინებით, რომ გაყიდვების უმრავლესობა ექსპორტიდან მოდის და უმეტესად აშშ დოლარში ხორციელდება.

- საბოლოო ღირებულება განისაზღვრა 5-წლიანი პერიოდის ბოლოს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბოლოო ღირებულების შეფასებაში გათვალისწინებულ იქნა საბოლოო განაკვეთი 2%.

ხელმძღვანელობამ მოახდინა ორი მნიშვნელოვანი დაშვების იდენტიფიცირება, რომლისთვისაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გონივრულ ცვლილებას, რამაც, შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ საბალანსო ღირებულებამ გადააჭარბოს მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების ოდენობას.

ზემოთ ხსენებული შეფასებები ძირითადად სენსიტიურია შემდეგ სფეროებთან მიმართებაში:

- გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთში 1-პროცენტული პუნქტიანი კლება გამოიწვევდა მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების 2,3 მილიონ ლარამდე შემცირებას, რაც ძირითადი საშუალებების (მიწის გამოკლებით) საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია.
- გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლების 20%-იანი კლება პირველ დაპროექტებულ პერიოდში გამოიწვევდა მომავალი დისკონტირებული ფულადი ნაკადების 2 მილიონი ლარით ნაკლებობას, ვიდრე ძირითადი საშუალებების (მიწის გამოკლებით) საბალანსო ღირებულება.

2017 წელს, ხელმძღვანელობამ შპს „ბიდიოს“ დაავალა ძირითადი საშუალებების დამოუკიდებელი შეფასების განხორციელება, ნაყოფის მომცემი კულტურების გამოკლებით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება, ნაყოფის მომცემი კულტურების გამოკლებით, განისაზღვრა 24,745 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც განეკუთვნა სამართლიანი ღირებულების მე-3 დონის კატეგორიას, გამოყენებული საშემფასებლო მეთოდის მონაცემების საფუძველზე (იხილეთ შენიშვნა 4).

კომპანიის გადაფასებული ძირითადი საშუალებების ნაწილი ბუნებაში სპეციალიზირდება და იშვიათად იყიდება ღია ბაზარზე, გარდა უწყვეტი საქმიანობის შემადგენელი ნაწილისა, შესაბამისად ძირითადი საშუალებების ამ ერთეულების სამართლიანი ღირებულება უპირატესად განისაზღვრა ჩანაცვლების ამორტიზირებული ღირებულების გამოყენებით. ეს მეთოდი მოიცავს ძირითადი საშუალებების გამოშვების ან გამოცვლის ხარჯს, რომელიც იცვლება ფიზიკური, ფუნქციური ან ეკონომიკური ცვთის, ასევე დამკველების გათვალისწინებით. დანარჩენი ძირითადი საშუალებები შეფასდა მიმდინარე საბაზრო ოპერაციების საფუძველზე.

ცვეთის ჩანაცვლების ხარჯი შეფასდა შიდა წყაროების და მსგავსი ძირითადი საშუალებების ქართული და საერთაშორისო ბაზრების ანალიზის საფუძველზე. ბაზრის სხვადასხვა მონაცემები მიღებულია გამოქვეყნებული ინფორმაციიდან, კატალოგებიდან, სტატისტიკური მონაცემებიდან და სხვ.

ამასთან, ცვეთის ჩანაცვლების ხარჯის განსაზღვრის მიზნით ჩატარდა ფულადი ნაკადების ტესტირება, რამაც ასახვა ჰპოვა სპეციალიზებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე, გარდა ნაყოფის მომცემი კულტურებისა და დაუსრულებელი მშენებლობის კატეგორიებისა, რომელიც 524 ათასი ლარით შემცირდა და აისახა მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალის სახით 2017 წელს (2016 წელს: ნული).

ფულადი ნაკადების ტესტირებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი დაშვებები:

- ფულადი ნაკადები დაიგეგმა განვლილი გამოცდილების, ფაქტიური საოპერაციო შედეგებისა და „ჯგუფის“ ხუთწლიანი ბიზნეს გეგმის საფუძველზე.
- მთლიანი წარმოების მოცულობა დაიგეგმა დაახლოებით 3,347 ათასი ბოთლის ოდენობით ბიზნეს გეგმის პირველი წლის განმავლობაში. წარმოების საპროგნოზო წლიური ზრდა 2019 წელს განისაზღვრა საშუალოდ 16% და 5/5%-ით. ხელმძღვანელობა გეგმავს წარმოების მოცულობა გაზარდოს 4,558 ათას ბოთლამდე ბიზნეს გეგმაში განსაზღვრული მეხუთე წლისთვის.

- გაყიდვების საშუალო ღირებულება ერთ ერთეულზე და ერთეულის წარმოების ხარჯი დაგეგმილია გაიზარდოს 4%-ით 2018 წლის განმავლობაში და საშუალოდ 3%-ით ყოველ მომდევნო წელს.
- მოსალოდნელია ერთეულის წარმოების ხარჯის ზრდა 1%-ით 2018 წელს და 3%-ით ყოველ მომდევნო წელს. დაგეგმილია სხვა ხარჯებს ინფლაციის შესაბამისად ზრდა.
- გამოყენებულ იქნა ფასდაკლების განაკვეთი 14.52%-ის ოდენობით. ფასდაკლების განაკვეთი განისაზღვრა ინდუსტრიის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე. ფულადი ნაკადები დაგეგმილია ლარში.
- საბოლოო ღირებულება მიღებულ იქნა 5-წლიანი პერიოდის ბოლოს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბოლოო ღირებულების განსასაზღვრად გათვალისწინებულია საბოლოო განაკვეთი 2.3%-ის ოდენობით.

ხელმძღვანელობამ მოახდინა ორი მნიშვნელოვანი დაშვების იდენტიფიკაცია, რომლისთვისაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გონივრულ შესაძლო ცვლილებას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს საბალანსო ღირებულების ზრდა, მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული თანხის გადაჭარბებისთვის. ზემოთ მოცემული შეფასებები კონკრეტულად მგრძნობიარეა შემდეგთან მიმართებაში:

- 100 საბაზისო პუნქტიანი ზრდა გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთში გამოიწვევდა იმას, რომ მომავალი ფულადი ნაკადების ფასდაკლების თანხა სპეციალიზებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები იქნება 8,418 ათასი ლარის ოდენობით.
- 5%-იანი კლება მომავალ მოცულობაში, გამოიწვევდა იმას, რომ მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების თანხა იქნება სპეციალიზებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, 9,605 ათასი ლარის ოდენობით.

(d) მიწა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიწის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 17,431 ათასი ლარის (2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 11,200 ათასი ლარი) ოდენობით, რაც ასახავს ბაზრის ფასებს მიმდინარე ოპერაციებში.

სს „მატო მუხრანი“

2017 წელს ხელმძღვანელობამ შპს „ბიდიოს“ დაავალა ძირითადი საშუალებების დამოუკიდებელი შეფასება, მიწების ჩათვლით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შვილობილი კომპანიების მიწის ნაკვეთების სამართლიანი ღირებულება 6,009 ათასი ლარის (2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 4,352 ათასი ლარი) ოდენობით განისაზღვრა, რაც მოიცავდა 2,113 ათასი ლარის ოდენობით აღმავალ გადაფასებას და რომელიც განეკუთვნება სამართლიანი ღირებულების მე-3 დონის კატეგორიას, გამოყენებული საშემფასებლო ტექნიკის მონაცემების საფუძველზე (იხილეთ შენიშვნა 4). გადაფასების საფუძველზე გაუფასურების ზარალი 468 ათასი ლარის ოდენობით აღიარდა მიწის ნაკვეთებთან მიმართებაში, მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2017 წლის განმავლობაში (2016: ნული).

შპს „საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიწის ნაკვეთების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 10,191 ათასი ლარის (2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 6,848 ათასი ლარი) ოდენობით, რომელიც განეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონის კატეგორიას, გამოყენებული საშემფასებლო ტექნიკის მონაცემების საფუძველზე (იხილეთ შენიშვნა 4).

მიწის ნაკვეთები საბალანსო ღირებულებით 6,510 ათასი ლარის ოდენობით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაფასდა მზარდი მიმართულებით, და გადაფასების ზედმეტობა 3,528 ათასი ლარის ოდენობით აღიარდა კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გადაფასების საფუძველზე განისაზღვრა, რომ მიწის ნაკვეთებს საბალანსო ღირებულებით 295 ათასი ლარი აქვთ ანაზღაურებადი ღირებულება 161 თასი ლარი და გაუფასურების ზარალი 134 ათასი ლარის ოდენობით აღიარდა მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2017 წელს.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიწის ნაკვეთების საბალანსო ღირებულება მის სამართლიან ღირებულებას იყო მიახლოებული.

(e) უზრუნველყოფა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 2,694 ათასი ლარი დაგირავებულია თიბისი ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის სახით (2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 10,140 ათასი ლარი), ძირითადი საშუალებები, საბალანსო ღირებულებით 8,177 ათასი ლარი დაგირავებულია საქართველოს ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის სახით (2016: ნული). იხილეთ შენიშვნა 17(a).

(f) დაუსრულებელი ძირითადი საშუალებები

დაუსრულებელი ძირითადი საშუალებები მოიცავს 839 ათასი ლარის ოდენობით (2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 2,774 ათასი ლარი) ნაყოფის მომცემი კულტურებისა და ღვინის წარმოების ობიექტის და 9,133 ათასი ლარის ოდენობით (2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 7,555 ათასი ლარი) მუხრანბატონ-პალასის არასაოპერაციო შენობების განვითარებისთვის გაწეულ ხარჯებს, ასევე სხვა საოპერაციო აქტივებს, 1,232 ათასი ლარის (2016 წელს: 706 ათასი ლარი) ოდენობით. „ჯგუფმა“ მუხრანბატონ-პალასის რეკონსტრუქცია 2010 წელს დაიწყო. 2016 და 2017 წლების განმავლობაში მიმდინარეობდა შენობის სასტუმრო ბიზნესად გადაკეთების სამუშაოები

გადაფასების ტესტის შედეგად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუსრულებელი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შემცირდა 1,722 ათასი ლარით, რომელიც აისახა გაუფასურების ზარალში მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2017 წელს (2016 წელს: ნული).

გრძელვადიან აქტივებთან დაკავშირებული ავანსების უმეტესობა წარმოადგენს 2016 და 2017 წლებში სხვადასხვა კომპანიებისთვის მუხრანბატონ-პალასის და სხვა საოპერაციო აქტივების მშენებლობისთვის გადახდილ თანხებს.

(g) ნაყოფის მომცემი კულტურები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ჯგუფის“ მიერ ჩატარებული ფულადი ნაკადების ტესტირების შედეგად, ნაყოფის მომცემი კულტურების ღირებულება 2,434 ათასი ლარით შემცირდა, რაც მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალის სახით აისახა 2017 წლის განმავლობაში (2016: ნული).

12. მარაგები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
მიმდინარე სამუშაო	20,758	22,302	21,170
გადაყიდვისთვის განკუთვნილი საქონელი	2,615	2,366	2,257
შესაფუთი მასალები	2,310	1,799	2,496
მეღვინეობის და მევენახეობისთვის განკუთვნილი მასალები	715	506	130
სხვა მარაგები	1,308	1,141	1,300
	27,706	28,114	27,353

2017 წელს ნედლეული, სათადარიგო ნაწილები და ცვლილებები მზა საქონელსა და მიმდინარე სამუშაოებში, აღიარებულია სარეალიზაციო ღირებულების სახით, 16,653 ათასი ლარის ოდენობით (2016 წელს: 11,589 ათასი ლარი).

2017 წლის განმავლობაში, ბანკის უზრუნველყოფილი სესხებისთვის მარაგების ნაშთი გირაო სრულად რეალიზებულ იქნა (2016 წელს 21,551 ათასი ლარი).

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
სავაჭრო მოთხოვნები	9,224	5,886	7,140
დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნები	3,142	3,218	2,011
ავანსები	401	435	627
სხვა მოთხოვნები	68	29	17
	12,835	9,568	9,795

ჯგუფის დაქვემდებარება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებულ საკრედიტო და სავალუტო რისკებსა და გაუფასურების ზარალზე განხილულია მე-19 შენიშვნაში.

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
ბანკში არსებული ნაშთები	1,664	3,620	905
სალაროში არსებული თანხა	11	23	6
	1,675	3,643	911

ჯგუფის დაქვემდებარება ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებულ საპროცენტო განაკვეთის რისკსა და მგრძნობელობის ანალიზზე განხილულია მე-19 შენიშვნაში.

15. სააქციო კაპიტალი და რეზერვები

(a) სააქციო კაპიტალი და დამატებითი შენატანი კაპიტალში

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

აქციონერი	აქციების რაოდენობა			ხმის უფლება	კაპიტალი ლარი
	ჩვეულებრივი	წილის %			
Marussia Beverages B.V.	73,228,926	100%	ჩვეულებრივი	100%	73,228,926
<i>აქციების რაოდენობა, თუ სხვაგვარად არ იქნება მითითებული</i>					
			ჩვეულებრივი აქციები		
			2017	2016	
გამოშვებული 1 იანვარს			73,228,926		100,000
გამოშვებული წლის განმავლობაში			-		73,128,926
გამოშვებული 31 დეკემბრის, სრულად გადახდილი			73,228,926		73,228,926
ავტორიზებული აქციები - ნომინალური ღირებულება			1 ლარი		1 ლარი

ყველა ჩვეულებრივი აქცია ფასდება თანაბრად, „კომპანიის“ ნარჩენ აქტივებთან მიმართებაში.

2016 წლის 1 ნოემბერს, ჯგუფის აქციონერმა მიითო „ჯგუფის“ სააქციო კაპიტალის 66,128,926 ლარით გაზრდის შესახებ, რაც მოიცავდა: a) მშობელი კომპანიის წინაშე არსებული ვალდებულების (59,439,501 ლარი) დაუფარავი ნაშთის კონვერსიას მშობელ კომპანიასა და „ჯგუფს“ შორის 2014 წლის 1 იანვარს გაფორმებული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების საფუძველზე; b) მშობელი კომპანიის წინაშე არსებული ვალდებულების (6,689,425 ლარი) დაუფარავი ნაშთის კონვერსიას, მშობელ კომპანიას, „ჯგუფსა“ და სს „მატო მუხრანს“ შორის

2016 წლის 1 ნოემბერს გაფორმებული საკრედიტო ურთიერთობების დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე. დამატებით გადახდილი კაპიტალი 7,000 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც „კომპანიის“ კაპიტალში კონვერტირებული სესხის (მშობელი კომპანიის) ნაწილს წარმოადგენდა, 2014 წლის 31 დეკემბერს გადავიდა სააქციო კაპიტალში.

ზემოთ ხსენებულის შედეგად, 2016 წელს „კომპანიის“ სააქციო კაპიტალი 73,128,926 ლარით გაიზარდა და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ის მოიცავს 73,228,926 აქციას ნომინალური ღირებულებით 1 ლარი.

2016 წლის 1 ნოემბერს, სს „შატო მუხრანმა“ მიიღო მისი სააქციო კაპიტალის გაზრდის, 5,647,133 ახალი აქციის (ნომინალური ღირებულებით 1 ლარი) გამოშვების და ახალი აქციების გამოშვების სააქციო პრემიის 15,673,455 ლარით გაზრდის გადაწყვეტილება. სააქციო პრემიის 20% გადანაწილდა არაკონტროლირებად ინტერესზე.

(b) დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და მათ „ჯგუფის“ ყოველწლიურ და საერთო კრებებზე ერთ აქციაზე ერთი ხმის უფლება აქვთ.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, „ჯგუფის“ გასანაწილებელი ნაშთები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, „ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად, რომელიც ფასს-ების შესაბამისად არის მომზადებული.

(c) ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი უკავშირდება ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგებს.

(d) დამატებითი შენატანი კაპიტალში

2017 წელს დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული დაბალპროცენტაჟი სესხების დისკონტირების ეფექტთან დაკავშირებული დამატებითი შენატანს კაპიტალში ვადა 2021 წელს გასდის (იხილეთ მე-17 შენიშვნა).

16. კაპიტალის მართვა

„ჯგუფს“ არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობის მიზანია უზრუნველყოს ძლიერი კაპიტალის ბაზა „ჯგუფის“ სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

წლის განმავლობაში კაპიტალის მართვის ჯგუფისეულ მიდგომაში ცვლილებები არ განხორციელებულა. „ჯგუფი“ არ წარმოადგენს გარედან დაკისრებული კაპიტალის მოთხოვნების საგანს.

17. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში განსაზღვრულია ინფორმაცია „ჯგუფის“ პროცენტის მატარებელი სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით. „ჯგუფის“ საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დამოკიდებულების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ მე-19 შენიშვნა.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან			
უზრუნველყოფის გარეშე	14,812	-	-
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	662	-	-
	15,474	-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან			
უზრუნველყოფის გარეშე	-	8,563	65,512
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	370	621	859
	370	9,184	66,371

(a) სესხის ვადები და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016		1 იანვარი 2016	
				ნომინალური დირებულება	საბალანსო დირებულება	ნომინალური დირებულება	საბალანსო დირებულება	ნომინალური დირებულება	საბალანსო დირებულება
სესხი დაკავშირებული მხარისგან უზრუნველყოფის გარეშე	ლარი	9%	2020	9,322	9,322	8,563	8,563	-	-
სესხი დაკავშირებული მხარისგან უზრუნველყოფის გარეშე	ლარი	9%	2021	3,349	2,944	-	-	-	-
სესხი მშობელი კომპანიისგან უზრუნველყოფის გარეშე	ლარი	5.75%	2021	1,877	1,580	-	-	-	-
სესხი მშობელი კომპანიისგან უზრუნველყოფის გარეშე	ლარი	Euribor* +margin	2021	1,235	966	-	-	-	-
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი სს „თიბისი ბანკისგან“	ლარი	12.5%	2022	249	249	-	-	-	-
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი სს „თიბისი ბანკისგან“	აშშ დოლარი	13%	2018	238	238	621	621	859	859
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი სს „საქართველოს ბანკისგან“	ლარი	12.5%	2022	545	545	-	-	-	-
სესხი მშობელი კომპანიისგან უზრუნველყოფის გარეშე	ლარი	8%	2016	-	-	-	-	52,237	52,237
სესხი დაკავშირებული მხარისგან უზრუნველყოფის გარეშე	ლარი	9%	2016	-	-	-	-	13,275	13,275
სულ პროცენტები ვალდებულებები				16,815	15,844	9,184	9,184	66,371	66,371

* 12-თვის EURIB OR განაკვეთი, გამოცხადებული თითოეული კალენდარული წლის პირველ სამუშაო დღეს, პლუს მარჟა. მარჟა ყოველწლიურად გადაიხედება 1 იანვარს ან სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ მითითებების არსებობის შემთხვევაში.

უზრუნველყოფილი სესხი თიბისი და საქართველოს ბანკისგან აღებულია შეღავათიანი აგრო კრედიტის პროექტის ფარგლებში და პროცენტის ნაწილს საქართველოს მთავრობა ანაზღაურებს.

2016 წლის 1 ნოემბერს მშობელი კომპანიის გადაწყვეტილებით სს „მარუსია საქართველოს“ სესხების ნაშთი მშობელი კომპანიის მიმართ 66,129 ათასი ლარის ოდენობით კონვერტირებულ იქნა „კომპანიის“ სააქციო კაპიტალად (იხილეთ შენიშვნა 15(a)).

2017 წლის განმავლობაში „ჯგუფმა“ მიიღო სესხები ლარში დაკავშირებული მხარისგან შეღავათიანი პირობებით, რომლებსაც ვადა 2021 წელს გასდის. თავდაპირველი აღიარებისას

„ჯგუფის“ ხელმძღვანელობამ შეაფასა, რომ სესხის სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი მსგავსი ინსტრუმენტებისთვის ბაზარზე ხელმისაწვდომ საპროცენტო განაკვეთზე ნაკლები იყო და გადააფასა სესხი სამართლიანი ღირებულებით, მომავალი პროცენტის და ძირითადი თანხის გადახდების ბაზრის საპროცენტო განაკვეთით (11,4%) დისკონტირების გზით. სხვაობა მიღებულ გადახდებს და სესხების სამართლიან ღირებულებას შორის თავდაპირველი აღიარებისას აღიარდა კაპიტალში დამატებითი შენატანის სახით.

2017 წლის 1 ნოემბრით დათარიღებული კონსოლიდაციის ხელშეკრულების ცვლილების თანახმად, რომელიც „Marussia Beverages B.V.“ და „ჯგუფს“ შორის გაფორმდა, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 8,563 ათასი ლარის ოდენობით სესხის დაფარვის თარიღი 2017 წლის 1 ნოემბრიდან 3 წლით გახანგრძლივდა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 2,694 ათასი ლარი დაგირავებულ იქნა თიბისი ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად (2016 წლის 31 დეკემბრის: 10,140 ათასი ლარი; 2016 წლის 1 იანვარს: 11,376 ათასი ლარი), ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 8,177 ათასი ლარი დაგირავდა საქართველოს ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფის სახით (2016: ნული), გთხოვთ იხილოთ შენიშვნა 11(d).

სესხები დაკავშირებული მხარეებისგან უზრუნველყოფილი არ არის.

სასესხო ხელშეკრულების დარღვევა

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“ ჰქონდა თიბისი ბანკის უზრუნველყოფილი სესხი 621 ათასი ლარის ოდენობით (2016 წლის 1 იანვარს: 859 ათასი ლარი). ხელშეკრულების პირობების თანახმად, სესხი 2018 წელს უნდა დაფარულიყო. სესხი მოიცავს ვალდებულებას, სადაც განსაზღვრულია, რომ EBITDA არ უნდა იყოს მთლიან სესხებსა და გარანტიებზე დარიცხული პროცენტის 130%-ზე ქვემოთ.

2016 წლის 1 იანვრის, 2016 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“ არღვევდა სასესხო ვალდებულებებს და შედეგად კრედიტორს შეეძლო მოეთხოვა სესხის დაფარვა, ხოლო „ჯგუფმა“ ეს სესხი მოკლევადიან სესხად დააკლასიფიცირა.

(ბ) ფინანსური ღონისძიებებიდან წარმოშობილი ფულადი სახსრების ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება

ლარი/000	1 იანვარი, 2017 წელი	ფულადი სახსრების დარიცხული პროცენტი		ფულადი სახსრების შემოძინება (ძირითადი)		ფულადი სახსრების შემოძინება (პროცენტი)		ფულადი დამატებითი გადახდილი კაპიტალი		უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა		31 დეკემბერი 2017
		შემოძინება	პროცენტი	შემოძინება	პროცენტი	შემოძინება	პროცენტი	გადახდილი	კაპიტალი	შემოსულობა	გადახდილი	
სესხად აღებული თანხები	9,184	7,110	1,291*	(361)	(62)	(1,294)	(24)					15,844

*საკრედიტო ხარჯები 866 ათასი ლარის ოდენობით კაპიტალიზირებული იქნა 2017 წელს (იხილეთ შენიშვნები 9 და 11)

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
სავაჭრო ვალდებულებები	2,768	2,291	2193
სხვა ვალდებულებები	370	515	455
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	83	32	58
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	369	322	822
	3,590	3,160	3,528

„ჯგუფის“ დაქვემდებარება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებულ სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე განხილულია მე-19 შენიშვნაში.

19. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(a) სააღრიცხვო კლასიფიკაცია და სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისგან, ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის ოპერაციის ფარგლებში, შეფასების თარიღისთვის. თუმცა, შეფასებასთან დაკავშირებული გაურკვევლობებიდან და სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულების გადაცემისას.

„ჯგუფმა“ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემით შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალი ძირი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ „ჯგუფის“ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას უახლოვდება.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების მიზეზით, „ჯგუფი“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი (შენიშვნა 19b(ii);
- ლიკვიდურობის რისკი (შენიშვნა 19b(iii);
- საბაზრო რისკი (შენიშვნა 19b(iv)).

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

დირექტორთა საბჭოს აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა „ჯგუფის“ რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და მიმოხილვაზე, ასევე პასუხს აგებს „ჯგუფის“ რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და კონტროლზე და მისი საქმიანობების შესახებ აქციონერებისთვის რეგულარულად ანგარიშგებაზე.

„ჯგუფის“ რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება „ჯგუფის“ წინაშე მდგარი რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზის მიზნით, რომლითაც დგინდება რისკების შესაბამისი ზღვრები და საკონტროლო მექანიზმები, ასევე ხორციელდება რისკების მონიტორინგი და ლიმიტების განსაზღვრა. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, ბაზრის პირობებში და „ჯგუფის“ საქმიანობებში განხორციელებული ცვლილებების ასახვის მიზნით. მისი სატრენინგო და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების გამოყენებით, „ჯგუფი“ გეგმავს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შემუშავებას, რომელშიც ყველა თანამშრომელს ესმის თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „ჯგუფის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ის უმეტესად წარმოიშობება „ჯგუფის“ მომხმარებლების მიმართ არსებული მოთხოვნებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკზე დამოკიდებულებას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

„ჯგუფის“ დამოკიდებულებაზე საკრედიტო რისკზე ძირითადად მოქმედებს თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლები. „ჯგუფის“ მომხმარებელთა ბაზის დემოგრაფიული მაჩვენებლები, მათ შორის ინდუსტრიისა და ქვეყნის დეფოლტის რისკის ჩათვლით, რომელშიც ფუნქციონირებენ კლიენტები, ნაკლებად ექვემდებარებიან საკრედიტო რისკს. „ჯგუფის“ შემოსავლის დაახლოებით 52% (2016: 44%), დაკავშირებული მხარეებისთვის გაწეული მომსახურებებიდან მიღებული შემოსავლის გარდა, უკავშირდება გაყიდვის ოპერაციებს 10 მთავარ კლიენტთან. „ჯგუფის“ საკრედიტო დაქვემდებარება ძირითადად დსთ-ს რეგიონის ქვეყნებზე მოდის.

„ჯგუფი“ არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით.

„ჯგუფი“ ადგენს გაუფასურების რეზერვს, რომელიც მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში მის მიერ გასაწევი ზარალის პროგნოზირებას, გარდა დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული მოთხოვნებისა. მაქსიმალური დამოკიდებულება საკრედიტო რისკზე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის, გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება		
	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
ადგილობრივი	3,080	2,814	3,117
დსთ-ს ქვეყნები	8,163	5,587	4,986
ევროზონის ქვეყნები	514	210	685
სხვა ევროპული ქვეყნები	530	416	303
სხვა რეგიონები	79	77	60
	12,366	9,104	9,151

ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დამოკიდებულება იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება		
	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
საბითუმო კლიენტები	9,391	6,596	4,808
საცალო კლიენტები	1,448	1,198	1,227

სს „მარუსია საქართველო“

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

საბოლოო მომხმარებელი	1,527	1,310	3,116
	12,366	9,104	9,151

გაუფასურების ზარალი

ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადა იყო შემდეგი:

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება		
	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
ვადა გაყიდვის თარიღის შემდეგ			
0-დან 30 დღემდე	8,996	5,119	4,942
31-დან 120 დღემდე	1,238	1,417	2,842
121-დან 180 დღემდე	695	427	515
181-დან 360 დღემდე	1,437	2,141	852
	12,366	9,104	9,151

ზემოთ მოცემულ ცხრილში ვადები დაანგარიშდა გაყიდვის თარიღის მიხედვით. ხელშეკრულებაში მითითებული გადახდის საშუალო ხანგრძლივობა წარმოადგენს 90 დღეს.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება კვლავ ამოღებადია, ხელმძღვანელობის გამოცდილებიდან და შესაბამისი კლიენტების საკრედიტო რეიტინგების (ასეთის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში) ანალიზიდან გამომდინარე.

წლის განმავლობაში სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების რეზერვში მოძრაობა იყო შემდეგი:

’000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ნაშთი წლის დასაწყისში	(293)	(102)
აღიარებული გაუფასურების ზარალი	(54)	(229)
ჩამოწერილი მოთხოვნების აღდგენა	18	35
ჩამოწერა	(14)	4
ნაშთი წლის ბოლოს	(343)	(293)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფი“ ფლობდა ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს 1,664 ათასი ლარი ოდენობით (2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 3,620 ათასი ლარი, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: 905 ათასი ლარი), რომლებიც მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ექვემდებარებიან ამ აქტივებზე. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ინახება ადგილობრივ ბანკში, რომელსაც ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ ემიტენტის მოკლევადიანი დეფოლტის რეიტინგი BB-. ხელმძღვანელობა არ თვლის, რომ კონტრაქტის ვერ შეასრულებს მის ვალდებულებებს.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც „ჯგუფს“ ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. „ჯგუფი“ შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში არასაჭირო დანაკარგების ან „ჯგუფის“ რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა მოითხოვს შესაბამისი ფულადი სახსრების და დაფინანსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ადეკვატური ოდენობით საკრედიტო ხაზების გამოყენებით.

დაქვემდებარება ლიკვიდურობის რისკზე

ქვემოთ მოცემულია ანგარიშგების წარდგენის თარიღში ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები. თანხები ბრუტო სახით და დისკონტირების გარეშეა წარმოდგენილი და ის მოიცავს პროცენტის მოსალოდნელ გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთგაქვითვის ხელშეკრულებების გავლენას.

31 დეკემბერი 2017

'000 ლარი	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები						
	საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნამდე	2 თვეზე ნაკლები	2-დან 12 თვემდე	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	12,266	15,991	-	-	-	-	15,991
სესხი მშობელი კომპანიისგან	2,546	3,937	-	-	-	-	3,937
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	1,032	1,302	-	107	359	219	617
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,440	5,136	2,936	273	1,927	-	-
	19,284	26,366	2,936	380	2,286	219	20,545

31 დეკემბერი 2016

'000 ლარი	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები						
	საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნამდე	2 თვეზე ნაკლები	2-დან 12 თვემდე	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	8,563	9,197	-	-	9,197	-	-
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	621	621	621	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,092	3,092	1,529	-	-	-	1,563
	12,276	12,910	2,150	-	9,197	-	1,563

1 იანვარი 2016

'000 ლარი	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები						
	საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნამდე	2 თვეზე ნაკლები	2-დან 12 თვემდე	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	65,512	70,849	-	-	70,849	-	-
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	859	859	859	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,528	3,528	2,975	553	-	-	-
	69,899	75,236	3,834	553	70,849	-	-

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ შეაფასა „ჯგუფის“ მთლიანი ფინანსური შედეგები და ფინანსური პოზიცია „ჯგუფის“ საოპერაციო საქმიანობებიდან და ქვემოთ წარმოდგენილ შემამსუბუქებელი ფაქტორებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ ის არ გასწევს ლიკვიდურობის რისკს მის მიერ ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვისას და არ არსებობს არსებითი გაურკვევლობა „ჯგუფის“ მიერ მოქმედი საწარმოს პრინციპით ფუნქციონირების გაგრძელებასთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობის ზემოთ მოცემული ვარაუდი ეფუძნება შემდეგ ფაქტებს და შეფასებებს:

- 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფის“ გრძელვადიანი ვალდებულებები მოიცავდა სესხებს და კრედიტებს შვილობილი კომპანიებისგან 14,812 ათასი ლარის ოდენობით (არადისკონტირებული). აქციონერებმა და საბოლოო მაკონტროლებელმა მხარემ („Paulsen Familiae Foundation“) დაადასტურეს განზრახვა, რომ ისინი არ მოითხოვდნენ

„კომპანიის“ და მისი შვილობილი კომპანიების ვალდებულებების დაფარვას ხელშეკრულებაში განსაზღვრულ დაფარვის ვადაზე (2020 წლის 1 ნოემბერი და 2021 წლის 31 დეკემბერი) ადრე (იხილეთ შენიშვნა 17) და რომ საჭიროების შემთხვევაში გადაავადებდნენ სესხებს, რათა დაეხმარონ „ჯგუფს“ არსებული ფინანსური სირთულეების გადალახვაში.

- მშობელმა კომპანიამ გამოთქვა განზრახვა საჭიროების შემთხვევაში უახლოეს მომავალშიც გაუწიოს ფინანსური და სხვა სახის დახმარება „კომპანიას“ და მის შვილობილ კომპანიებს, რათა დაეხმაროს „ჯგუფს“ განაგრძოს ფუნქციონირება.

მოსალოდნელი არ არის, რომ ზემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულ ვადიანობის ანალიზში შესული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად ადრე წარმოიშვება ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობით.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „ჯგუფის“ შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

„ჯგუფს“ აქვს ფინანსური ვალდებულებები საბაზრო რისკების სამართავად. „ჯგუფი“ არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას მოგებაში ან ზარალში არასტაბილურობის სამართავად.

სავალუტო რისკი

„ჯგუფი“ გასწევს საკრედიტო რისკს იქედან გამომდინარე, რომ ადგილი აქვს შეუსაბამობას იმ ვალუტებს შორის, რომელშიც დენომინირებულია გაყიდვები, შესყიდვები და სესხები და „ჯგუფის“ სამუშაო ვალუტა. ვალუტები, რომელშიც უპირატესად ხორციელდება ოპერაციები არის ევრო და აშშ დოლარი.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

„ჯგუფის“ დაქვემდებარება სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

'000 ლარი	აშშ დოლარი 31 დეკემბერი 2017	ევრო 31 დეკემბერი 2017	აშშ დოლარი 31 დეკემბერი 2016	ევრო 31 დეკემბერი 2016	აშშ დოლარი 1 იანვარი 2016	ევრო 1 იანვარი 2016
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,654	1,633	4,981	1,361	4,891	1,194
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	111	759	499	2,751	76	674
სავაჭრო ვალდებულებები	(85)	(286)	(623)	(282)	(190)	(365)
სესხები და კრედიტები	(238)	-	(621)	-	(859)	-
წმინდა დაქვემდებარება	7,442	2,106	4,236	3,830	3,918	1,503

წლის განმავლობაში მოქმედებდა ქვემოთ მოცემული მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		ანგარიშგების წარდგენის თარიღის SPOT განაკვეთი		
	2017	2016	2017	2016	1-იან-16
1 აშშ დოლარი	2.5086	2.3667	2.5922	2.6468	2.3949
1 ევრო	2.8322	2.6172	3.1044	2.7940	2.6169

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის გონივრული შესაძლო (გამყარება)/შესუსტება, ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში 31 დეკემბერს იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და თანაბრად იმოქმედებდა კაპიტალზე და მოგებაზე ან ზარალზე დაბეგვრამდე, ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით. ანალიზის

საფუძველზე გაკეთდა დაშვება, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და ის გამოირიცხავს საპროგნოზო გაყიდვებს და შესყიდვებს.

'000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	ლარის გამყარება	ლარის შესუსტება
31 დეკემბერი 2017	(744)	744
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(211)	211
ევრო (10%-იანი მოძრაობა)		
31 დეკემბერი 2016		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(424)	424
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(383)	383
1 იანვარი 2016		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(392)	392
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(150)	150

(v) **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, დიდ გავლენას ახდენს სესხებსა და ვალდებულებებზე, რადგან ეს იწვევს სესხის სამართლიანი ღირებულების (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან გავლენას მოახდენს მომავალში ფულადი ნაკადების მოძრაობაზე (სესხი ცვლადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსაზღვრად, თუ რამდენად ექვემდებარება კომპანია ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებს. თუმცა, ახალი სესხების ან კრედიტების აღებისას, ხელმძღვანელობა საკუთარ მსჯელობას იყენებს იმის გადასაწყვეტად, რომელი ცვლადი უფრო ხელსაყრელი იქნება კომპანიისთვის მოსალოდნელ პერიოდში, დაფარვის ვადის დადგომამდე - ფიქსირებულგანაკვეთიანი, თუ ცვლადგანაკვეთიანი.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

ანგარიშგების თარიღში „ჯგუფის“ პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება		
	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები			
ფინანსური აქტივები	-	-	232
ფინანსური ვალდებულებები	(15,844)	(9,184)	(66,371)
	(15,844)	(9,184)	(66,139)
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები			
ფინანსური ვალდებულებები	(966)	-	-

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულ-განაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

„ჯგუფი“ არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ან გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიაში. შესაბამისად, ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში ანგარიშგების თარიღისთვის არ იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

ფულადი სახსრების მგრძნობელობის ანალიზი ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

გონივრულ 100 საბაზისო პუნქტიან შესაძლო ცვლილებას საპროცენტო განაკვეთებში ანგარიშგების წარდგენის თარიღში არ ექნებოდა არსებითი გავლენა კაპიტალზე და მოგებაზე ან ზარალში იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსები, უცვლელი დარჩება.

20. შვილობილი კომპანიები და არაკონტროლირებადი ინტერესი

სს „შატო მუხრანი“

2011 წლის თებერვალში „Marussia B.V.“-მ, „კომპანიის“ პირდაპირმა მშობელმა კომპანიამ, მოახდინა „კომპანიის“ სააქციო კაპიტალში სს „შატო მუხრანის“ 3,820,117 გამოშვებული ჩვეულებრივი აქციის კონტრიბუცია, რაც სს „შატო მუხრანის“ სააქციო კაპიტალის 64,2%-ს წარმოადგენს.

2013 წლის მაისში, სს „შატო მუხრანის“ აქციონერთა გადაწყვეტილების საფუძველზე, კომპანიის სასესხო მოთხოვნა სს „შატო მუხრანის“ მიმართ 17,044 ათასი ლარის ოდენობით, კონვერტირებულ იქნა სს „შატო მუხრანის“ სააქციო კაპიტალში, რითაც „კომპანიის“ წილი სს „შატო მუხრანში“ 80%-მდე გაიზარდა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია „ჯგუფის“ შვილობილ კომპანიასთან (სს „შატო მუხრანი“) დაკავშირებული ინფორმაცია, რასაც არსებითი არაკონტროლირებადი ინტერესი აქვს, ნებისმიერი ჯგუფს შიდა გამორიცხვამდე:

31 დეკემბერი 2017

'000 ლარი	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
არაკონტროლირებადი ინტერესის პროცენტულობა	20%
გრძელვადიანი აქტივები	23,833
მიმდინარე აქტივები	9,915
გრძელვადიანი ვალდებულებები	(12,266)
მიმდინარე ვალდებულებები	(1,126)
წმინდა აქტივები	20,356
არაკონტროლირებადი ინტერესის საბალანსო ღირებულება	4,071
შემოსავალი	7,852
ზარალი	(1,271)
სხვა სრული შემოსავალი	2,842
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)	1,571
არაკონტროლირებადი ინტერესზე მიკუთვნებული ზარალი	(254)
არაკონტროლირებადი ინტერესზე მიკუთვნებული მთლიანი სრული შემოსავალი	568
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები)	158
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული ფულადი ნაკადები	(4,734)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან (დივიდენდები არაკონტროლირებადი ინტერესზე: ნული)	3,233
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	(1,343)

31 დეკემბერი 2016

'000 ლარი	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
არაკონტროლირებადი ინტერესის პროცენტულობა	20%
გრძელვადიანი აქტივები	17,785
მიმდინარე აქტივები	10,306
მიმდინარე ვალდებულებები	(9,835)
წმინდა აქტივები	18,256
არაკონტროლირებადი ინტერესის საბალანსო ღირებულება	3,651
შემოსავალი	5,059
ზარალი	(3,408)
სხვა სრული შემოსავალი	485
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)	(2,923)
არაკონტროლირებადი ინტერესზე მიკუთვნებული ზარალი	(682)
არაკონტროლირებადი ინტერესზე მიკუთვნებული მთლიანი სრული შემოსავალი	97
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	(1,391)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული ფულადი ნაკადები	(2,315)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან (დივიდენდები არაკონტროლირებადი ინტერესზე: ნული)	5,033
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	1,327

1 იანვარი 2016

'000 ლარი

არაკონტროლირებადი ინტერესის პროცენტულობა

გრძელვადიანი აქტივები

მიმდინარე აქტივები

გრძელვადიანი ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები

წმინდა აქტივები

არაკონტროლირებადი ინტერესის საბალანსო ღირებულება

1 იანვარი 2016

20%

15,838

8,693

-

(24,673)

(142)

(28)

შპს „საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“

2011 წლის ივნისში, „კომპანიასა“ და „Pernod Ricard Europe SA“-ს (შპს „საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიის“ 100%-იანი წილის ყოფილი მფლობელი) შორის გაფორმებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, „კომპანიამ“ „Pernod Ricard Europe SA“-სგან შეიძინა შპს „საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიის“ სააქციო კომპანიის საკუთრების წილის 100%.

21. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ეტაპზეა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული დაზღვევის მრავალი სახეობა, ზოგადად, ჯერ ხელმიუწვდომელია საქართველოსათვის. „ჯგუფს“ სრულად არ აქვს დაზღვეული ძირითადი საშუალებები, ბიზნეს-საქმიანობის წყვეტა, ან ქონების და გარემოს დაზიანების გამო მესამე მხარის ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა „ჯგუფის“ საკუთრებაში ან მისი ოპერაციების შედეგად მომხდარი უბედური შემთხვევების საფუძველზე. სანამ „ჯგუფი“ არ უზრუნველყოფს შესაფერის სადაზღვეო გარანტიებს, მუდამ იარსებებს იმის რისკი, რომ კონკრეტული აქტივის განადგურებით ან დაკარგვით „ჯგუფის“ საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობას მიაღებავს სერიოზული ზიანი.

(b) სამართალწარმოება

ხელმძღვანელობის აზრით, ადგილი არ აქვს მიმდინარე სამართალწარმოებებს და სხვა დაუკმაყოფილებელ სარჩელებს, რომელსაც შესაძლოა არსებითი გავლენა ჰქონდეს „ჯგუფის“ ოპერაციებისა და ფინანსური მაჩვენებლების შედეგებზე და რომლებიც არ განხილულა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ მიმოხილვისთვის მომდევნო სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში, საგადასახადო წელი შეიძლება უფრო დიდი ხნის განმავლობაში დარჩეს დაუხურავი.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მაღალია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს „ჯგუფის“ ინტერპრეტაციისგან და თუ საგადასახადო ორგანომ შესძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

22. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

„ჯგუფის“ პირდაპირი მშობელი კომპანიაა „Marussia Beverages B.V.“. „ჯგუფის“ საბოლოო მშობელი კომპანიაა „Haydn Holding AB“, ხოლო „კომპანიის“ პირდაპირი მაკონტროლებელი მხარეა „Paulsen Familiae Foundation“.

„კომპანიის“ პირდაპირი მშობელი კომპანია გამოსცემს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას დანიური საერთაშორისოდ აღიარებული სააღრიცხვო პროცედურების (GAAP) შესაბამისად. შემდეგი მშობელი კომპანია, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას გამოსცემს (ფასს-ების შესაბამისი) არის „Haydn Holding AB“.

(b) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც არ არის შესული სარეალიზაციო და დისტრიბუციის ხარჯში (იხილეთ სარეალიზაციო და დისტრიბუციის ხარჯები - შენიშვნა 6(b) და ადმინისტრაციულ ხარჯებში - შენიშვნა 6(c)):

'000 ლარი	2017	2016
ხელფასები და ბონუსები	1,359	1,362
სხვა სარგებელი*	72	111
	1,431	1,473

*სხვა სარგებელი მოიცავს სატრენინგო, საგანმანათლებლო, სამივლინებო, საბინაო და ყოველდღიურ ხარჯებს.

(c) სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან

'000 ლარი	ოპერაციის დირეზი 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	ოპერაციის დირეზი 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	დაუფარავი ნაშთი		
			31 დეკემბრის მდგომარეობით	31 დეკემბრის მდგომარეობით	1 იანვრის მდგომარეობით
	2017	2016	2017	2016	2016
საქონლის და მომსახურების გაყიდვა:					
მშობელი კომპანია	212	124	9	-	16
ჯგუფში შემავალი სხვა					
შვილობილი კომპანიები	2,802	2,586	3,130	3,215	1,995
სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	21	4	3	3	-
საქონლის შესყიდვა:					
მშობელი კომპანია	8	-	-	-	123
ჯგუფში შემავალი სხვა					
შვილობილი კომპანიები	113	34	-	46	415
საბოლოო მაკონტროლებელი მხარის კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანია	(1,918)	(1,181)	(373)	(273)	251
გაცემული სესხები:					
- ძირითადი	-	-	-	-	232
მიღებული სესხები:					
- ძირითადი	(5,671)	(11,546)	(14,812)	(8,563)	(65,512)
- დარიცხული პროცენტი	(1,131)	(3,195)	-	-	-
სხვა შემოსავალი:					
საბოლოო მაკონტროლებელი მხარის კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანია	105	61	-	-	-

ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან, გარდა მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხებისა (შენიშვნა 17) უნდა დაიფაროს ნაღდი ფორმით, ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში.

არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი. მიმდინარე და წინა წლებში აღიარებული არ არის რაიმე ხარჯი უიმედო ან საექვო სესხებისთვის, დაკავშირებული მხარეების საკუთრებაში არსებულ თანხებთან მიმართებაში. რაიმე სახის გარანტია მიღებული ან გაცემული არ არის.

23. ანგარიშგების წარდგენის შემდგომი მოვლენები

აქციონერთა 2018 წლის აგვისტოს თვის დადგენილების თანახმად, შეიქმნა „ჯგუფის“ ახალი საწარმო - შპს „ბაკური“, რომლის 100%-იან წილს „ჯგუფი“ ფლობს.

24. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ერთეულებისა, რომლებიც ალტერნატიულ საფუძველზე ფასდება, ანგარიშგების წარდგენის თითოეულ თარიღში.

ერთეულები	შეფასების საფუძველი
ძირითადი საშუალებები, დაუმთავრებელი მშენებლობების და ნაყოფის მომცემი კულტურების გამოკლებით	სამართლიანი ღირებულება
სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია	სამართლიანი ღირებულება, სარეალიზაციო ღირებულების გამოკლებით

25. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში და მათ „ჯგუფი“ თანმიმდევრულად იყენებს.

ქვემოთ განსაზღვრულია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მაჩვენებელი, რომელთა შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მითითებულ გვერდებზე:

(a)	კონსოლიდაციის საფუძველები	40
(b)	შემოსავალი	40
(c)	ფინანსური შემოსავალი და ხარჯი	41
(d)	ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	41
(e)	დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	41
(f)	მოგების გადასახადი	42
(g)	მარაგები	43
(h)	ძირითადი საშუალებები	43
(i)	ფინანსური ინსტრუმენტები	45
(j)	სააქციო კაპიტალი	46
(k)	გაუფასურება	47
(l)	ანარიცხები	48

(a) კონსოლიდაციის საფუძვლები

(i) არაკონტროლირებადი ინტერესები

არაკონტროლირებადი ინტერესები ფასდება შემძენის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების წილის პროპორციულად შემძენის თარიღში.

ცვლილებები შვილობილ კომპანიაში „ჯგუფის“ ინტერესში, რომლებიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება წილობრივი მონაწილეობის ოპერაციების სახით.

(ii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს „ჯგუფის“ კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებს. „ჯგუფი“ აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის წარმოადგენს საწარმოში მისი ჩართულობით მიღებული ცვლადი ამონაგების მიღების საგანს და აქვს ამის უფლება; ასევე შესწევს უნარი იმოქმედონ ხსენებულ ამონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შედის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც იწყება კონტროლი, ამ უკანასკნელის შეწყვეტის თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა მას შემდეგ, რაც საჭირო გახდა მათი „ჯგუფის“ პოლიტიკებზე მორგება. შვილობილ კომპანიაში არაკონტროლირებად ინტერესებთან დაკავშირებული ზარალი ნაწილდება არაკონტროლირებად ინტერესებზე მაშინაც კი, თუ ამგვარი ქმედება იწვევს დეფიციტს არაკონტროლირებადი ინტერესების ნაშთი.

(iii) კონსოლიდაციისას გამოირიცხული ოპერაციები

ჯგუფს შიდა ნაშთები და ოპერაციები და ნებისმიერი განუხორციელებელი შემოსავალი და ხარჯი, რომელიც ჯგუფს შიდა ოპერაციებიდან წარმოიშვება, გამოირიცხება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. მეკავშირე კომპანიაში განხორციელებული ინვესტირების ოპერაციებიდან წარმოშობილი განუხორციელებელი ამონაგები გაიქვითება ინვესტიციებთან მიმართებაში, მეკავშირე კომპანიაში „ჯგუფის“ ინტერესების გათვალისწინებით. განუხორციელებელი ზარალი გამოირიცხება იგივე ფორმით, როგორც განუხორციელებელი ამონაგებები, ამასთან იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობდეს გაუფასურების მტკიცებულება.

(b) შემოსავალი

(i) გაყიდული საქონელი

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფასდება მიღებული ან მისაღები გადახდის სამართლიანი ღირებულებით, ამონაგების, სავაჭრო ფასდაკლებებისა და მოცულობითი ფასდაკლებების გამოკლებით. შემოსავალი აღიარდება თუ არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულება (ჩვეულებრივ გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება) იმისა, რომ მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება გადაეცა მყიდველს, სავარაუდოა გადახდის აღდგენა, დაკავშირებული ხარჯები და საქონლის შესაძლო დაზრუნება შესაძლოა ობიექტურად შეფასდეს, არ არსებობს საქონელთან დაკავშირებით ხელმძღვანელობის ჩართულობა და რომ შემოსავლის თანხა შესაძლოა ობიექტურად შეფასდეს. თუ სავარაუდოა, რომ გაიცემა ფასდაკლებები და თანხა ობიექტურად შეიძლება შეფასდეს, ფასდაკლება აღიარდება შემოსავლის კლების სახით, როცა ადგილი ექნება მნიშვნელოვანი რისკების და საკუთრების უფლების გადაცემას.

რისკების და საკუთრების უფლებების გადაცემის ვადები განსხვავდება ნასყიდობის ხელშეკრულების ინდივიდუალური პირობების შესაბამისად. ღვინის გაყიდვისთვის, გადაცემა, ჩვეულებრივ, წარმოიქმნება იმ მომენტში, როდესაც პროდუქტი განთავსდება გამყიდველის საწყობში; ამასთან, რამდენიმე დამოუკიდებელი ტრანსპორტირებისას, რისკების და საკუთრების უფლების გადაცემა წარმოიშვება გამყიდველის ობიექტზე საქონლის შესაბამის ტრანსპორტზე დატვირთვისთანავე.

(ii) მომსახურებები

შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევის მომენტიდან.

შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან (დვინის ტურები და ღონისძიებები) ფასდება მიღებული ან მისაღები გადახდების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალი აღიარდება კლიენტისთვის მომსახურების გაწევის მომენტიდან.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო მოთხოვნაზე;
- საპროცენტო ხარჯი სესხებსა და კრედიტებზე;
- უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება მათ მიღების/გაწევისთანავე, მოქმედი საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებული მოგება და ზარალი აღიარდება წმინდა საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც იმაზეა დამოკიდებული, უცხოური ვალუტის მოძრაობები წმინდა მოგების პოზიციაშია თუ წმინდა ზარალის.

(d) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია „ჯგუფის“ საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, „ჯგუფის“ სამუშაო ვალუტაში. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფულად-საკრედიტო ერთეულებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობა.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები, რომელთა ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია შეფასებული, კონვერტირდება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოების ანაზღაურების ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსების ან მოგების განაწილების გეგმების საფუძველზე, თუ „ჯგუფს“ აქვს მიმდინარე სამართლებრივი და კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ამგვარი თანხა თანამშრომლის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და ამგვარი ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

(f) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ ნაწილისა, რომელიც აღიარდება სხვა ერთობლივ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის. მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი აგრეთვე წარმოადგენს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას და წარმოადგენს უფასო მიწოდებას და დაშვებულს ზემოთ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ჩათვლა ვრცელდება გადახდილ მიმდინარე მოგების გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც გადაიხდება დივიდენდები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და დაშვებულ ლიმიტებში წარმომადგენლობით ხარჯებს. „ჯგუფი“ ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და აღრიცხავს ამგვარი ერთეულების გადასახადის სახით, გარდა მოგების გადასახადისა.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო საფუძვლებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

წინა წლებში გაწეული საგადასახადო ზარალი არ გამოიყენება მომავალ დაბეგვრად მოგებებთან მიმართებაში.

(გ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილი ხარჯის პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად.

საქმიანობის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში ნეტო სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული გაყიდვის ხარჯები.

„კომპანია“ არ იყენებს ბასს 23-ს (ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები) ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ხარჯებთან მიმართებაში, რომელიც პირდაპირ უკავშირდება წარმოებულ დასრულებულ პროდუქტებს (ღვინო), ან სხვაგვარად არის ნაწარმოები დიდი რაოდენობით, განმეორებით საფუძველზე.

(h) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ერთეულები, გარდა ნაყოფის მომცემი კულტურებისა და დაუმთავრებელი მშენებლობებისა, გადაფასებული ღირებულებით ფასდება, რაც მის სამართლიან ღირებულებას წარმოადგენს გადაფასების თარიღში, ნებისმიერი შემდგომი დაგროვილი ცვეთის და შემდგომი აკუმულირებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გადაფასება ხორციელდება შესაბამისი რეგულარობით იმის უზრუნველყოფით, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება იმ ღირებულებისგან, რომელიც განისაზღვრება სამართლიანი ღირებულების გამოყენებით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. მიწის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება საბაზრო მტკიცებულებით შეფასებით, რომელსაც ახორციელებს პროფესიონალი კვალიფიციური შემფასებელი. ძირითადი საშუალებების ერთეულების სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს მათ საბაზრო ღირებულებას, რომელსაც განსაზღვრავს შემფასებელი. თუ იარსებებს სამართლიანი ღირებულების ბაზარზე დაფუძნებული მტკიცებულება, ძირითადი საშუალებების ერთეულის სპეციალიზებული ხასიათიდან გამომდინარე, ერთეული იშვიათად იყიდება, გარდა მუდმივი საქმიანობის ნაწილისა, „ჯგუფს“ შესაძლოა დასჭირდეს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, შემოსავლის, ბაზრის ან ფასებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით.

გადაფასების სიხშირე დამოკიდებულია გადაფასებული ძირითადი საშუალებების ერთეულების სამართლიანი ღირებულების სამართლიან ღირებულებაში ცვლილების განხორციელებისთანავე. როდესაც სამართლიანი ღირებულების გადაფასებისას აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან, უნდა ჩატარდეს დამატებითი გადაფასება.

ძირითადი საშუალებების ერთეულის გადაფასების შემთხვევაში, გადაფასდება ძირითადი საშუალებების მთლიანი კლასი, რომელსაც განეკუთვნება ამგვარი აქტივი. ძირითადი საშუალებების შემდგომი ცვეთა ირიცხება ცვეთას დაქვემდებარებული თანხის ჩამოწერის გზით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და დაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე გადაფასების ზრდა აღიარდება პირდაპირ გადაფასების ზედმეტობის სათაურის ქვეშ, სხვა სრულ შემოსავალში. ამასთან, მატება აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმის გათვალისწინებით, რომ ის დააბრუნებს იგივე აქტივის გადაფასების კლებას, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში იყო აღიარებული.

გადაფასების კლება ძირითად საშუალებებზე აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ამასთან, კლება აღიარდება სხვა სრულ შემოსავალშიც თუ გადაფასების ზედმეტობაში იარსებებს რაიმე სახის საკრედიტო ნაშთი.

დაუმთავრებელი მშენებლობები ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. თვითღირებულება მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ხარჯს, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას, მის დეინსტალაციის და სამუშაო ადგილიდან გატანის, ასევე იმ ადგილის მოწესრიგების ხარჯებს, სადაც აქტივი იყო განთავსებული; ასევე კაპიტალიზებულ საკრედიტო ხარჯებს.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაზე, თუ იგი უზრუნველყოფს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას „ჯგუფში“ და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. მოხსნილი ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება-ზარალში.

(iii) ნაყოფის მომცემი კულტურები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ნაყოფის მომცემი კულტურები გამოიყენება წარმოების ზრდის მიზნით. ერთადერთი მომავალი ეკონომიკური სარგებელი ნაყოფის მომცემი კულტურებიდან წარმოიშვება იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვიდან, რომლებიც მცენარეებიდან მიღებული ნაყოფისგან მზადდება. ნაყოფის მომცემი კულტურები შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას ბასს 16-ის საფუძველზე და მათი ფუნქციონირება წარმოების მსგავსია. შესაბამისად, ბასს 16 და ბასს 41-ის ცვლილებები (სოფლის მეურნეობა: ნაყოფის მომცემი კულტურები) მოითხოვენ ნაყოფის მომცემი კულტურების ძირითად საშუალებებად აღრიცხვას და ისინი შეყვანილია ბასს 16-ში ბასს 41-ის ნაცვლად.

ნაყოფის მომცემი კულტურები აღირიცხება თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთის და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ნაყოფის მომცემი კულტურების თვითღირებულება მოიცავს აქტივების სამართლიან ღირებულებას, რომელიც 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით განისაზღვრება სავარაუდო ღირებულების სახით.

ნაყოფის მომცემი კულტურების ცვეთა გაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, რითაც თვითღირებულებას აკლდება სალიკვიდაციო ღირებულება მისი მოსალოდნელი სასარგებლო ვადის (30 წელი) გათვალისწინებით.

„ჯგუფის“ ნაყოფის მომცემი კულტურების სალიკვიდაციო ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდი გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, იცვლება, თუ იარსებებს მინიშნებები იმისა, რომ განვლილი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ცვლილებას ჰქონდა ადგილი.

„ჯგუფი“ მოწეული ყურძნის კლასიფიცირებას ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კატეგორიაში და მათ უპირატესად იყენებს საკუთარი ღვინის წარმოების მიზნით.

„ჯგუფის“ ნაყოფის მომცემი კულტურებიდან მიღებული სასოფლო სამეურნეო პროდუქცია ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოსავლის აღების მომენტში მისი გასაყიდი ღირებულების გამოკლებით. ბაზრის ფასებზე დაყრდნობით, სამართლიან ღირებულებაზე მოსავლის აღების დღეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაყიდი ფასის გამოკლებით მიიღება პროდუქციის სავარაუდო ღირებულება. ბასს 2-ის (მარაგები) გამოყენების მიზნით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამართლიან ღირებულებაზე გასაყიდი ღირებულების გამოკლებით მიღებულ ფასად თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობილი მოგება ან ზარალი

მოგება ან ზარალის კატეგორიაში აღირიცხება.

(iv) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო „ჯგუფის“ შიდა ძალებით დამზადებული აქტივი - მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის ღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი სალიკვიდაციო ღირებულება.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის მიხედვით, აქტივებისთვის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთა ირიცხება იჯარის ვადასა და მათი მომსახურების ვადას შორის უმცირესი პერიოდით, სანამ გონივრულ ფარგლებში აშკარა არ გახდება, რომ „ჯგუფზე“ გადავა საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულების შემდეგ. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების მოსალოდნელი საშუალო მომსახურების ვადა მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები	20-50 წელი;
- ძირითადი საშუალებები	5-30 წელი;
- ავტომობილები	2-15 წელი;
- მოწყობილობები და აპარატურა	2-10 წელი;
- სხვა	3-5 წელი;
- ნაყოფის მომცემი კულტურები	26 და 40 წელი.

ცვეთის მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველ ფინანსურ წელს და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(i) ფინანსური ინსტრუმენტები

„ჯგუფი“ არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას ახდენს სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში.

„ჯგუფი“ არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულების კატეგორიაში განსაზღვრავს.

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

„ჯგუფი“ სესხებს და მოთხოვნებს და გამოშვებულ სასესხო ფასიან ქაღალდებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც „ჯგუფი“ ხდება სახელშეკრულებო ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე.

„ჯგუფი“ წვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ხელშეკრულების უფლებები აქტივისგან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს, ყველანაირ რისკთან და მფლობელობის უფლებასთან ერთად. ნებისმიერი სარგებელი წარმოქმნილი გადაცემული ფინანსური აქტივიდან, „ჯგუფის“ მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

„ჯგუფი“ წვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას მას შემდეგ, რაც დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაიქვითება, ხოლო წარმოდგენილი წმინდა თანხები აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ჯგუფს“ ექნება სამართლებრივი უფლება გაქვითოს

თანხები და ექნება სურვილი მოახდინოს ანგარიშსწორება წმინდა საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება. მოცემული მომენტისთვის „ჯგუფს“ აქვს სამართლებრივი უფლება განახორციელოს ურთიერთგაქვითვა, თუ ამგვარი უფლება არ არღვევს მომავალ მოვლენას და მოქმედებს საქმიანობის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში, ასევე - „ჯგუფის“ და ყველა კონტრაგენტის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები განეკუთვნება ფინანსური აქტივების კატეგორიას, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომლის კოტირება აქტიურ ბაზარზე არ ხდება. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება, როგორც სამართლიან ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ სესხები და მოთხოვნები ფასდება ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით.

სესხებისა და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კლასებს: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (მე-13 შენიშვნა) და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-14 შენიშვნა).

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს და ბანკში არსებულ ნაშთებს თავდაპირველი დაფარვის ვადით სამი თვე ან ნაკლები.

(ii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

„ჯგუფი“ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას ახდენს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. მსგავსი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება, როგორც სამართლიან ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ტრანზაქციული დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები იზომება ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და კრედიტებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

(i) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდები უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების გამოშვებას და სააქციო ოფციონებს, აღიარდება კაპიტალის დაქვითვის სახით, ნებისმიერი საგადასახადო ეფექტის გამოკლებით.

დამატებითი შენატანი კაპიტალი

დამატებით გადახდილი კაპიტალის ზრდაზე/კლებაზე მოქმედებს დაკავშირებული მხარეებისგან სესხების მიღებით საბაზრო განაკვეთებისგან განსხვავებული განაკვეთით, ისეთი მესაკუთრეებისგან ვალდებულებების პატიების გზით, რომლებიც მოქმედებენ მათი, როგორც მესაკუთრეების უფლებამოსილების ფარგლებში, და სხვა ქმედება, რომლებიც იწვევს სესხის პირობების არსებით ცვლილებას.

დაკავშირებული მხარეებისგან საბაზრო განაკვეთისგან განსხვავებული საპროცენტო განაკვეთით მიღებული სესხების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირდება

საბაზრო განაკვეთის გამოკლებით. სხვაობა პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

(k) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი, რომელიც აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით, მათ შორის წილი ინვესტიციებში მეკავშირე კომპანიებში ფასდება ანგარიშგების თითოეულ თარიღში იმის განსასაზღვრად, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ მოხდა მისი გაუფასურება, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია აქტივიდან მისაღებ იმ შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ფინანსური აქტივის (სასესხო ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

- მევალის მხრიდან ვადაგადაცილება ან საერთოდ უარის თქმა ვალის დაფარვაზე;
- „ჯგუფის“ მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურირაცია ისეთი პირობით, რომ „ჯგუფი“ სხვაგვარად არ განსაზღვრავს;
- ნიშნები იმისა, რომ მოვალე ან ემიტენტი გაკოტრდება;
- მსესხებლების ან ემიტენტების გადახდის სტატუსის უარყოფითი ცვლილება „ჯგუფში“;
- ეკონომიკური პირობები, რომელიც გადაუხდელობას იწვევს.
- ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა, ან
- დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ადგილი აქვს შეფასებად კლებას მოსალოდნელ ფულად ნაკადებში ფინანსური აქტივების ჯგუფიდან.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

„ჯგუფი“ ამ აქტივების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს ინდივიდუალურ დონეზე. ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე ყველა აქტივი ინდივიდუალურად გაუფასურების დადგენის კუთხით.

გაუფასურების ზარალი ანგარიშდება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და აისახება რეზერვის ანგარიშზე. თუ „ჯგუფი“ მიიჩნევს, რომ არსებობს აქტივის აღდგენის რეალური პერსპექტივა, შესაბამისი თანხები ჩამოიწერება. გაუფასურებულ აქტივზე პროცენტის აღიარება გაგრძელდება დისკონტირების დაბრუნების გზით. როდესაც შემდგომი მოვლენა იწვევს გაუფასურების ზარალის კლებას და ამგვარი კლება შესაძლოა ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ წარმოშობილ მოვლენას, გაუფასურების ზარალის კლება აღდება მოგებაში ან ზარალში.

(ii) არაფინანსური აქტივები

„ჯგუფის“ არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) გადაიხდება ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოძინების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოძინებისგან ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულისგან (CGU).

„ჯგუფის“ კორპორატიული აქტივები არ ახდენენ ცალკე ფულადი ნაკადების გენერირებას და ისინი გამოიყენება ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები მიეწერება ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულს გონივრულ და მუდმივ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე, როგორც ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით, რომლის დროსაც გამოიყოფა კორპორატიული აქტივი.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის მოსალოდნელ აღდგენად ღირებულებას აღემატება.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგება-ზარალის უწყისში. ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი დაერიცხება აქტივის ერთეულს პროპორციული გადანაწილების საფუძველზე და შეამცირებს მათ საბალანსო ღირებულებას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო დღეს ნებისმიერი მინიშნებისათვის იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან უკვე აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალი უკუგატარებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება განსასაზღვრ საბალანსო ღირებულებას, გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით, გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილა აღიარებული.

(I) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება, თუ განვლილი მოვლენის შედეგად, „ჯგუფს“ აქვს მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომელიც საიმედოდ შეიძლება შეფასდეს და შესაძლოა, რომ ვალდებულებების დასაფარად მოთხოვნილი იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით წინა საგადასახადო განაკვეთით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების და ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკების ბაზრის მიმდინარე შეფასებებს. დისკონტირების დაბრუნება აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

26. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, სტანდარტის ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ზემოთ აღნიშნულიდან სავარაუდოდ შემდეგი ცვლილებები გავლენას მოახდენს „ჯგუფის“ საოპერაციო საქმიანობაზე. „ჯგუფი“ გეგმავს აღნიშნული სტანდარტების ცვლილებების მიღებას მათი ძალაში შესვლისთანავე.

(a) ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრისთვის თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, *ბასს 18 (შემოსავალი)*, *ბასს 11 (სამშენებლო ხელშეკრულებები)* და *ფასიკ 13 (კლიენტების ლოიალურობის პროგრამები)*.

ფასს 15 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის დაწყებული 2018 წლის 1 იანვრიდან და შემდგომ პერიოდებში.

(i) მომსახურებები

„ჯგუფის“ შემოსავლის გენერირება ხდება ღვინის წარმოებისა და გაყიდვის (ექსპორტზე და ადგილობრივად) გზით. დღეისათვის შემოსავალი აღიარდება გაყიდვებზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენებით.

ფასს 15-ის ფარგლებში, მთლიანი გადახდა საქონლის გაყიდვის ხელშეკრულებებში გადანაწილდება შესრულების მთლიან ვალდებულებებზე მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასების საფუძველზე. ინდივიდუალური გასაყიდი ფასები განისაზღვრება ფასების სიით, რომლითაც „ჯგუფი“ ყიდის საქონელს ინდივიდუალურ ოპერაციებში.

„ჯგუფი“ არ მოელის, რომ ფასს 15-ის გამოყენება მნიშვნელოვან სხვაობას გამოიწვევს ამ საქონლის გაყიდვისთვის აღიარებული შემოსავლების ვადებში და რომ ფასს 15-ზე გადასვლის გავლენას არსებითი გავლენა ექნება „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ii) გარდამავალი პერიოდი

„ჯგუფი“ გეგმავს ფასს 15-ის მიღებას კუმულაციური ეფექტის მეთოდის გამოყენებით, თავდაპირველად ხსენებული სტანდარტის კაპიტალში ასახვით 2018 წლის 1 იანვარს. შედეგად, „ჯგუფი“ არ გამოიყენებს ფასს 15-ის მოთხოვნებს წარმოდგენილ შესადარის პერიოდთან მიმართებაში. ამგვარი ცვლილება სრულად იქნება ასახული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც უნდა მომზადდეს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

(b) ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 (ფინანსური ინსტრუმენტები) განსაზღვრავს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების აღიარებასა და შეფასებასთან, ასევე არაფინანსური ერთეულების ყიდვა-გაყიდვის რამდენიმე ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ჩაანაცვლა ბასს 39-ს (*ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*).

(i) კლასიფიკაცია - ფინანსური აქტივები

ფასს 9 მოიცავს კლასიფიცირებისა და შეფასების ახალ მიდგომას ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ასახავენ იმ ბიზნეს მოდელს, რომელის ფარგლებში ხდება ფინანსური აქტივების მართვა და მათი ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებს.

ფასს 9 მოიცავს კლასიფიცირების სამ პრინციპულ კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ის აუქმებს არსებულ ბასს 39-ის დაფარვამდე ფლობილის, სესხებისა და მოთხოვნების და გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიებს.

ფასს 9-ის ფარგლებში, ისეთ ხელშეკრულებებში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები, რომლის საგანსაც ფინანსური აქტივი წარმოადგენს, არ განცალკევდება. ამის ნაცვლად, კლასიფიკაციისთვის მთლიანობაში ფასდება ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი.

მისი შეფასების საფუძველზე, „ჯგუფი“ არ მოელის, რომ კლასიფიკაციის ახალ მოთხოვნებს არსებითი გავლენა ექნება მის ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებულ ანგარიშგებაზე.

(ii) გაუფასურება - ფინანსური აქტივები და სახელშეკრულებო აქტივები

ფასს 9 ჩაანაცვლებს ბასს 39-ში არსებულ ‘განცდილი საკრედიტო ზარალის’ მოდელს, მომავალზე ორიენტირებული ‘მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის’ მოდელით. ეს მოითხოვს მნიშვნელოვან მსჯელობებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორების ცვლილება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე, რომელიც განისაზღვრება ალბათობაზე დაფუძნებულ საფუძველზე.

გაუფასურების ახალი მოდელი გამოიყენება ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, გარდა კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციებისა და სახელშეკრულებო აქტივებისა.

ფასს 9-ის ფარგლებში, ზარალის რეზერვები შეფასდება ქვემოთ მოცემულიდან ერთერთის საფუძველზე:

- 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც იწვევს შესაძლო დეფოლტის შემთხვევებს ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში, და
- არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს არის მოსალოდნელი ზარალი, რომელიც იწვევს დეფოლტის ყველა შესაძლო შემთხვევას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ადგილი აქვს, თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო ზარალი ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის მნიშვნელოვნად შემცირდება მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ და თუ ამგვარ შემცირებას ადგილი არ ექნება გამოიყენება 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. „ჯგუფმა“ შესაძლოა განსაზღვროს, რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, თუ ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის აქტივს დაბალი საკრედიტო რისკი ახასიათებს. ამასთან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო რისკის შეფასება ყოველთვის გამოიყენება სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის გარეშე.

„ჯგუფმა“ შეაფასა, რომ ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნების გამოყენება 2018 წლის 1 იანვარს არ გამოიწვევს ბასს 39-ის ფარგლებში აღიარებული გაუფასურების არსებით ზრდას.

(iii) კლასიფიკაცია - ფინანსური ვალდებულებები

ფასს 9 უმეტესად უცვლელს ტოვებს ბასს 39-ის მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან მიმართებაში.

თუმცა, ბასს 39-ის ფარგლებში სამართლიანი ღირებულების ყველა ცვლილება, რომელიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, მოგებაში ან ზარალში ასახვით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, რადგან ფასს 9-ის ფარგლებში სამართლიანი ღირებულების ამგვარი ცვლილება ზოგადად შემდეგი სახით აღირიცხება:

- სამართლიანი ღირებულების ცვლილების თანხა, რომელიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას უკავშირდება, სხვა სრულ შემოსავალში აღირიცხება; ხოლო
- სამართლიანი ღირებულების ცვლილების დანარჩენი თანხა აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

„ჯგუფს“ არ განუხორციელებია რაიმე ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, მოგებაში ან ზარალში ასახვით და მას არ აქვს ამგვარი განზრახვა. „ჯგუფის“ შეფასება არ მოიცავს რაიმე არსებით გავლენას ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით 2018 წლის 1 იანვრისთვის.

(iv) განმარტებები

ფასს 9 მოითხოვს ახალ ვრცელ განმარტებებს, კერძოდ საკრედიტო რისკთან და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან მიმართებაში. „ჯგუფის“ წინასწარი შეფასება მოიცავდა მონაცემებში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირების ანალიზს მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში და „ჯგუფი“ გეგმავს სისტემის და საკონტროლო მექანიზმების ცვლილების განხორციელებას, რომელიც, მისი აზრით, საჭირო იქნება მოთხოვნილი მონაცემების მისაღებად.

(v) გარდამავალი პერიოდი

„ჯგუფი“ გამოიყენებს ახალ სტანდარტზე გადასვლის მოდიფიცირებულ რეტროსპექტიულ მიდგომას და არ წარადგენს წინა პერიოდების გადაანგარიშებულ შესადარის ინფორმაციას. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებების ცვლილებები, რომლებიც ფასს 9-ის მიღებით წარმოიშვებიან, აღიარდება გაუნაწილებელი მოგების და რეზერვების კატეგორიაში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.



სს მარუსია (საქართველო)

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება - 2017

სარჩევი

შესავალი	3
ბაზრის მიმოხილვა.....	5
განვითარების გეგმა.....	6
საქართველოს ბაზრის კვლევა.....	7
ორგანიზაციის საქმიანობის სფერო და წარმოებული პროდუქცია.....	7
SWOT ანალიზი.....	10
ორგანიზაციული სტრუქტურა.....	11
ფინანსური მიმოხილვა.....	12
არაფინანსური მახასიათებლები	12
რისკები და მათი მართვის მექანიზმი.....	13

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

შესავალი

სააქციო საზოგადოება „მარუსია (საქართველო)“ (შემდგომში - კომპანია) დაარსდა 2010 წლის დეკემბერში და ამჟამად მდებარეობს ქ. თბილისში, ნავთლულის 8ა-ში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში ღვინისა და სასმელების, ასევე საკვები პროდუქტების დისტრიბუცია. კომპანიის 100%-იან წილს ფლობს ჰოლანდიური კომპანია „Marussia Beverages B.V.“, რომელიც თავის მხრივ არის საერთაშორისო ჯგუფის, „მარუსია ბევერიჯის“ წევრი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, ჯგუფი შედგება ორი შვილობილი კომპანიისგან: სს „მატო მუხრანი“ და შპს „საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლის კომპანია“ (ერთად - ჯგუფი), რომლებშიც კომპანია ფლობს მართვის უფლების და წილის 80% და 100%, შესაბამისად. ჯგუფის შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და სააქციო საზოგადოებას (შესაბამისად), მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და ისინი რეგისტრირებული არიან და ოპერირებენ საქართველოში.

შვილობილი კომპანიების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვაზის გაშენება, ღვინის წარმოება და ვაჭრობა, ასევე ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესი.

სს „მარუსია (საქართველო)“ ადგილობრივ ბაზარზე დისტრიბუციას უკეთებს შვილობილი საწარმოების მიერ წარმოებულ ღვინოებს. კომპანიის სადისტრიბუციო პორტფელში ასევე შედის საქართველოში წარმოებული კარტოფილის ჩიფსი (ფრიქსი/Frixx) და იმპორტირებული სპირტიანი ალკოჰოლური სასმელები, როგორებიცაა არაყი მამონტი, რომი მეზანი და სხვა.

ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია (GWS) შეიქმნა 1995 წელს და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვენახების გაშენება, ყურძნის მოყვანა და ღვინის წარმოება. 2011 წელს კომპანიის 100%-იანი წილი შეიძინა სს „მარუსია საქართველომ“, რომელიც თავის მხრივ არის საერთაშორისო ჯგუფის, „მარუსია ბევერიჯის“ წევრი.

ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია მდებარეობს თელავში და ფლობს ვენახებს სოფელ ვარდისუბანში, სოფელ აკურაში, სოფელ მაღრაანში და ქინძმარაულის ზონაში. ჩვენ გაშენებული გვაქვს ქართული ვაზის ჯიშები საფერავი,

მწვანე, რქაწითელი, ქისი და სხვა. GWS-ს აქვს ფრანგული ჯიშებიც, როგორებიცაა შარდონე, სოვინიონ ბლანი, კაბერნე სოვინიონი და ა.შ..

GWS-ი სხვადასხვა ბრენდის სახელით აწარმოებს და ყიდის ისეთ ღვინოებს, როგორებიცაა „თამადა“, „ძველი თბილისი“, „ელიზო“ და სხვა. ასორტიმენტში შედის ნახევრად ტკბილი, ნახევრად მშრალი და მშრალი ღვინოები, მათ შორის ადგილწარმოშობის ღვინოები, როგორებიცაა ნაფარეული, წინანდალი, მუკუზანი და ქინძმარაული. ჩვენი ღვინოები იყიდება საქართველოში და საზღვარგარეთ 15 ქვეყანაში. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებია რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, პოლონეთი და ბელორუსი.

კომპანია „შატო მუხრანი“ (CHM) შეიქმნა 2002 წელს და ჩვენ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვენახების გაშენება, ყურძნის მოყვანა და ღვინის წარმოება, ასევე ტურიზმი და სარესტორნო მომსახურება.

2010 წელს რეორგანიზაციის შედეგად CHM გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისი დამფუძნებლები არიან სს „მარუსია“ (საქართველო) (80%), მამუკა ხაზარაძე (11,97%) და ბადრი ჯაფარიძე (8,03%).

სს „შატო მუხრანი“ მდებარეობს მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში. 2007 წელს ძირითადი ინვესტიცია განხორციელდა კომპანიის ახალ ღვინის ქარხანაში. დღეისათვის ქარხანა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიით და აკმაყოფილებს ISO 9001:2005 (საკვების უსაფრთხოება) და ISO 9001:2008 (ხარისხის მართვის სტანდარტები) სტანდარტებს. 2007 წლის შემდეგ კომპანია ღვინოს საკუთარ ვენახში მოყვანილი ყურძნისგან აწარმოებს. ჩვენ გაშენებული გვაქვს ქართული ვაზის ჯიშები, როგორიცაა საფერავი, გორული მწვანე, რქაწითელი, და სხვა. CHM-ს აქვს ფრანგული ჯიშებიც, როგორიცაა შარდონე, სოვინიონ ბლანი, კაბერნე სოვინიონი და ა.შ. ჩვენი ვენახების ქარხნის გარშემო არის გაშენებული და იმისათვის, რომ ღვინო უფრო მეტად დახვეწილი და ნამდვილად უნიკალური იყოს, ღვინის ქარხანა დასამუშავებლად იღებს მაქსიმუმ 15 წუთის მოკრეფილ ყურძენს.

CHM აწარმოებს როგორც მშრალ, ასევე ნახევრად ტკბილ ღვინოებს. ჩვენი ღვინოები იყიდება საქართველოში და საზღვარგარეთ, თხუთმეტზე მეტ ქვეყანაში. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რუსეთი, უკრაინა და ჩინეთია.

საქმიანობის მიმოხილვა

ბაზრის მიმოხილვა

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად 2017 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ 5% შეადგინა¹. ამავე წყაროს მიხედვით მომავალი ხუთი წლის განმავლობაში მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა 5,2%-ს შეადგენს. ეკონომიკის სტაბილური ზრდის პარალელურად მნიშვნელოვნად იზრდება საქართველოში ჩამოსული უცხოელი ტურისტების რაოდენობა. 2017 წელს ქვეყანას 7,8 მილიონი ვიზიტორი ესტუმრა, რაც წინა წელთან შედარებით 18%-ით უფრო მეტია. ვიზიტორთა შორის იყო 4,1 ტურისტი, რაც 23% აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს. მთლიანობაში, ტურიზმის სფერომ 2017 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 6,9% შეადგინა². საქართველო უკვე ოფიციალურად არის მიჩნეული ღვინის სამშობლოდ³ და ყოველივე ზემოთთქმული მთლიანობაში ხელს უწყობს ქართულ ბაზარზე ღვინის რეალიზაციის ზრდას.

2017 წელი ქართული მეღვინეობისათვის წარმატებული აღმოჩნდა. მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების მიერ აღიარდა, რომ მეღვინეობის უძველესი კვალი საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში (PNAS) ნოემბერში გამოქვეყნდა სტატია („საქართველოს ადრეული ნეოლითური ღვინო სამხრეთ კავკასიიდან“) საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის კვლევის შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ღვინოს 8000 წლის წინ აყენებდნენ.

საფრანგეთის ქალაქ ბორდოში, ღვინის ცივილიზაციის მსოფლიო ცენტრში (Cité des Civilisations Du Vin) გამოფენა „საქართველო - ღვინის აკვანი“ თითქმის ოთხი თვის მანძილზე მიმდინარეობდა . გამოფენა 31 ივლისს გაიხსნა და 14 სექტემბერს ცენტრის შესასვლელში მუდმივ ექსპოზიციად ქართული ქვევრი დაიდგა. „იუნესკოს“ მიერ 2013 წელს ქვევრში ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდი მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში იქნა შეყვანილი. ყოველივე ეს ხელს უწყობს მსოფლიოში ქართული ღვინის პოპულარიზაციას, და ეხმარება ჩვენ კომპანიას საექსპორტო პოტენციალის ზრდაში.

¹ <http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=37>

² <https://gnta.ge/statistics/>

³ <http://www.pnas.org/content/early/2017/11/07/1714728114>

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციის მიხედვით 2017 წელს საქართველოდან ექსპორტირებული იქნა 76.7 მილიონი ბოთლი ღვინო მსოფლიოს 53 ქვეყანაში. ეს არის რეკორდული მაჩვენებელი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

განვითარების გეგმა

2017 წლის დეკემბერში ჯგუფის აქციონერებმა დაამტკიცეს 2018-2022 წლების ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც ჯგუფი შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში გეგმავს თითქმის ორჯერ გაზარდოს ბრუნვა 7,7 მილიონი ლარიდან 14,5 მილიონ ლარამდე. იმისათვის, რომ ჯგუფმა შეძლოს ასე მნიშვნელოვნად გაზარდოს თავისი ბრუნვა, ამ პერიოდში იგეგმება 0,47 მილიონი ლარის ინვესტირება, ძირითადად სადისტრიბუციო მანქანებში.

2017 წლის დეკემბერში „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიის“ აქციონერებმა ასევე დაამტკიცეს 2018-2022 წლების ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც GWS შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში გეგმავს 25.6 მილიონი ლარის ინვესტირებას ვენახებში და ღვინის ქარხნის ინფრასტრუქტურაში. კერძოდ, იგეგმება, რომ მოხდება ღვინის ქარხნის კაპიტალური რემონტი და გადაიარაღება; დამტკიცებულ გეგმაში ასევე განსაზღვრულია არსებულ და ახალ ვენახებში ინვესტირება; რაც გაზარდის საკუთარი მოსავლის წილს ქარხნის მიერ გადამუშავებული ყურძნის ოდენობაში, შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას და აამაღლებს მის ხარისხს. დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით აღნიშნული ინვესტიცია განხორციელდება კომპანიის მიერ გამოიმუშავებული საკუთარი სახსრებით.

2017 წლის ნოემბერში კომპანიის აქციონერებმა დაამტკიცეს „შატო მუხრანის“ 2018-2022 წლების ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც CHM შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში გეგმავს დაახლოებით 10 მილიონი ლარის ინვესტირებას ვენახებში, ღვინის ქარხნის ინფრასტრუქტურაში და სასახლის გარშემო არსებული კარმიდამოს განვითარებაში. დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით აღნიშნული ინვესტიცია განხორციელდება CHM-ის აქციონერებისგან აღებული სესხებით. CHM-ი ასევე გეგმავს მუხრანბატონის სასახლის სრულ რეაბილიტაციას შემდეგი 2-3 წლის განმავლობაში. ამ პროექტის ხარჯები არ არის შესული დამტკიცებულ ბიუჯეტში და მისი დაფინანსება მოხდება როგორც CHM-ი საკუთარი სახსრებით, ასევე აქციონერების მიერ.

საქართველოს ბაზრის კვლევა

2017 წლის მარტში ჯგუფის დავალებით ფირმა ACT-მ საქართველოში ჩაატარა ახალი ბრენდის იდეის კვლევა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპოდენტები თავისუფალ დროს ძირითადად მეგობრებთან ერთად ატარებენ. რესპოდენტების შეკრების უმთავრესი ადგილი სამეგობროდან ერთ-ერთის სახლი, ქალაქგარეთ არსებული აგარაკი ან ბუნებაში გასვლაა. რესპოდენტებისთვის განტვირთვის უმთავრესი ატრიბუტი ალკოჰოლია. უფრო ზუსტად კი - ბრენდირებული / ბოთლის ღვინო. კვლევაში მონაწილე რესპოდენტებს განსხვავებული გემოვნური თვისებების ღვინოები მოსწონთ. არ გამოკვეთილა რაიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია, ღვინის რომელიმე ტიპის სასარგებლოდ. სურათი იგივეა ღვინოს ფერთან მიმართებითაც.

აღნიშნული კვლევის შედეგები საფუძვლად დაედება „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიასთან“ ერთად ახალი ბრენდის შექმნას.

2017 წლის მეორე ნახევარში ჯგუფის დავალებით ფირმა ACT-მ საქართველოში ჩაატარა კვლევა GWS-ის ბრენდის ცნობადობასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ GWS-ის ცნობადობა ქართულ ბაზარზე იყო საკმაოდ დაბალი. ამის შედეგად ჯგუფის ხელმძღვანელობამ 2018 წლისათვის დაგეგმა სხვადასხვა ღონისძიებები და აქციები ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

კომპანია გალთ ენდ თაგარტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 2017 წელს საქართველოში ჩამოსული ტურისტების მიერ საკვებზე და სასმელზე დახარჯული თანხის ოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, 2016 წელთან შედარებით ზრდამ 40.5% შეადგინა. ამავე კვლევის მიხედვით, 2018 წელს მოსალოდნელია ამ მაჩვენებლის 24.3%-ით ზრდა. ყოველივე ეს დადებითად აისახება ჯგუფის სარესტორნო და ტურისტულ ბიზნესზე.

ჯგუფის საქმიანობის სფერო

„მარუსია (საქართველო)“ დაარსდა 2010 წლის დეკემბერში და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ალკოჰოლური სასმელების და საკვები პროდუქტების დისტრიბუცია. კომპანია ფლობს და დისტრიბუციას უკეთებს ორი ღვინის მწარმოებელი შვილობილი კომპანიის, „შატო მუხრანის“ და „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიის“ პროდუქციას. სადისტრიბუციო პორტფელში შედის შემდეგი ღვინოები:

„შატო მუხრანი“

რქაწითელი, შარდონე, თავკვერი, გორული მწვანე, საფერავი, ქინძმარაული, შავკაპიტო, ჭაჭა, მუსკატი და სხვა.

„ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“ –GWS-ი

საქართველოში წარმოდგენილი GWS-ის ბრენდებია: ელიზო, ძველი თბილისი, ვისმინო, თამადა, საქართველოს ფერები. ამ ბრენდების ქვეშ იყიდება ისეთი ღვინოები, როგორებიცაა: წინანდალი, მწვანე, ალაზანი, საფერავი, მუკუზანი, ნაფარეული, ქინძმარაული და ხვანჭკარა და სხვა.

საკვები პროდუქტებიდან ჯგუფი დისტრიბუციას უკეთებს საქართველოში წარმოებულ ჩიფსს „ფრიქსი“. ასორტიმენტში შედის სხვადასხვა არომატის ჩიფსი: კლასიკური, ტარხუნა, ბარბექიუ და აჯიკა.

ჯამურად ჯგუფში 2017 წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 186 ადამიანი (2016 წელს - 184 ადამიანი). ჯგუფი მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, უნარ-ჩვევების ინსტრუქტაჟების და ტრენინგების საშუალებით.

ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია დაარსდა 1995 წელს, 1976 წელს დაარსებული აჩინებულის ღვინის ქარხნის ბაზაზე და დღემდე წარმოადგენს მევენახეობის და მეღვინეობის დარგის ერთ-ერთ ლიდერ კომპანიას საქართველოში. 2011 წლიდან GWS-ის 100%-ის მფლობელია „მარუსია ჯგუფი“.

GWS-ი აწარმოებს შემდეგი სახის პროდუქციას:

- ცქრიალა ღვინოები,
- ღვინოები,
- ჭაჭა.

GWS-ი აწარმოებს პროდუქციას შემდეგი ბრენდების სახელით:

- საქართველოს ფერები.
- თამადა გრანდ რეზერვი.
- თამადა.
- ვისმინო.
- ელიზო.
- ადამანტი.
- ძველი თბილისი.
- ბიალონი.

GWS-ში 2017 წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 81 ადამიანი (2016 წელს - 80 ადამიანი). სეზონურად, ვენახის მოსავლეად, ხდება დამატებითი მუშა-ხელის დაქირავება. კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, უნარ-ჩვევების ინსტრუქტაჟების და ტრენინგების საშუალებით. კომპანია აღჭურვილია თანამედროვე მანქანა-დანადგარებით, რომელთა განახლებაც მიმდინარეობს მუდმივად მსოფლიო ბაზარზე არსებული ტენდენციების გათვალისწინებით.

კომპანია „შატო მუხრანი“ დაარსდა 2002 წელს და დღემდე წარმოადგენს მევენახეობის და მეღვინეობის დარგის ერთ-ერთ ლიდერ კომპანიას საქართველოში. CHM-ის 80%-ის მფლობელია „მარუსია ჯგუფი“. CHM-ს გააჩნია შემდეგი ბიზნეს მიმართულებები:

- მშრალი და ნახევრად მშრალი ღვინოების წარმოება,
- ჭაჭის წარმოება,
- ტურისტული და სარესტორნო მომსახურება.

CHM აწარმოებს შემდეგ პროდუქციას „შატო მუხრანის“ ბრენდების სახელით:

საფერავი სუპერიორი, სამეფო რეზერვი (წითელი და თეთრი), შავკაპიტო, რქაწითელი სუპერიორი, გორული მწვანე, შარდონე, თავკვერი, ჭაჭა და სხვა.

CHM-ში დასაქმებულია, დაახლოებით 60 ადამიანი. სეზონურად, ვენახის მოსავლეად, ხდება დამატებითი მუშა-ხელის დაქირავება.

SWOT ანალიზი

ჯგუფის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს ჯგუფის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობების და საფრთხეების შეფასებას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს ამ შეფასების შედეგები.

ცხრილი 1:


ძლიერი მხარე	შესაძლებლობები
ჯგუფის ისტორია, სტრატეგია და აქტივები	ქართული ღვინის რეპუტაცია - საქართველო, ღვინის აკვანი
მაღალი ხარისხის პროდუქცია	მთავრობის მხარდაჭერა
აღიარება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე	ტურიზმის ხელშეწყობა და განვითარება
მოგების ზრდის პოტენციალი	კარტოფილის ჩიფსის ბაზრის ზრდა
სრულყოფილი ღვინის პორტფელი (ბრენდები, სტილი, ფასები)	სადისტრიბუციო პორტფელის და ასორტიმენტის ზრდა
ძლიერი გუნდი	
გაზრდილი ცნობადობა საქართველოში და იმიჯი საერთაშორისო ბაზრებზე (უკრაინა, რუსეთი და ა.შ.)	
საერთაშორისო ჯგუფის ნაწილი, ძლიერი მხარდაჭერა	
სუსტი მხარეები	საფრთხეები
წარმოების პოტენციალის არასრულად გამოყენება	წითელი ღვინის ფასის მნიშვნელოვნად გაზრდა
პორტფელს ზრდის შესაძლებლობის არასრულად გამოყენება	კონკურენტების გაზრდილი ინვესტიცია მეღვინეობაში
ზოგიერთი ბრენდის საქართველოში არსებული დაბალი რეპუტაცია	ბევრი მცირე მეღვინეობის (განსაკუთრების ქვევრის წარმოება) აღმოცენება ბაზარზე
ხარისხისა და ფასის შეფარდება	ახალი საკანონმდებლო რეგულაციები
	ეკონომიკური საფრთხეები

ორგანიზაციული სტრუქტურა

2017 წლის განმავლობაში ჯგუფში საშუალოდ 186 ადამიანი იყო დასაქმებული (2016 წელს - 184). ჯგუფი მუდმივად ვცდილობს გავაუმჯობესოთ თანამშრომელთა სამუშაო პირობები და გარემო. ჯგუფი ახალი თანამშრომლების შერჩევისას არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. ჯგუფის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას ჯგუფი ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

ჯგუფი იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს ჯგუფის შრომის შინაგანაწესი.

გრადიკი:



ფინანსური მიმოხილვა

საბალანსო უწყისი

'000 ლარი	2017 წელი	2016 წელი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები	52,135	37,841
მიმდინარე აქტივები	42,368	41,463
სულ აქტივები	94,503	79,304
კაპიტალი და ვალდებულებები		
სულ სააქციო კაპიტალი	75,069	66,808
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	15,474	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	3,960	12,496
სულ ვალდებულებები	19,434	-
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	94,503	79,304

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	2017 წელი	2016 წელი
საოპერაციო საქმიანობის შედეგები	(3,981)	(2,591)
წმინდა ფინანსური ხარჯი	(409)	(4,030)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(4,390)	(6,621)
მოგების გადასახადის სარგებელი	-	(2,003)
წლის მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული ზარალი	6,967	(6,944)

2017 წელს ჯგუფის სრულმა კონსოლიდირებულმა შემოსავალმა შეადგინა 27,4 მილიონი ლარი, რაც 61%-ით აღემატება 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. გაზრდილი შემოსავლები დადებითად აისახა კომპანიის შედეგებზე და 2017 წლის ზარალმა შეადგინა 4,3 მილიონი ლარი, 2016 წელს მიღებული 8,6 მილიონი ლარი ზარალის ნაცვლად. ხოლო, 2017 წლის სრულმა შემოსავალმა შეადგინა 6,967 ლარი (2016 წლის სრული ზარალი : (6,944) მილიონი ლარი).

არაფინანსური მახასიათებლები

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს შრომის უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს. „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მომპანია“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიას აქვს ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის მიმართ და ჩვენთან დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

რისკები და მათი მართვის მექანიზმი

რისკების იდენტიფიცირება და მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება კომპანიის საქმიანობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო, კომპანია შემდეგ რისკებს გასწევს:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკს, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაგენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი უპირატესად წარმოიშვება კომპანიის მოთხოვნებიდან კლიენტების მიმართ.

სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფის საკრედიტო რისკზე ძირითადად მოქმედებს თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის მომხმარებელთა ბაზის დემოგრაფიული მაჩვენებლები, მათ შორის ინდუსტრიისა და ქვეყნის დეფოლტის რისკის ჩათვლით, რომელშიც ფუნქციონირებენ კლიენტები. კომპანიის შემოსავლის დაახლოებით 52% (2016 წლის 31 დეკემბერს: 44%), დაკავშირებული მხარეებისთვის გაწეული მომსახურებებიდან მიღებული შემოსავლის გარდა, უკავშირდება გაყიდვის ოპერაციებს 10 მთავარ კლიენტთან. „ჯგუფის“ საკრედიტო დაქვემდებარება ძირითადად დსთ-ს რეგიონის ქვეყნებზე მოდის.

ჯგუფი არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით.

ჯგუფი ადგენს გაუფასურების რეზერვს, რომელიც მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში მის მიერ მოსალოდნელი ზარალის პროგნოზირებას, გარდა დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული მოთხოვნებისა. მაქსიმალური საკრედიტო რისკი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის, გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება		
	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
ადგილობრივი	3,080	2,814	3,117
დსთ-ს ქვეყნები	8,163	5,587	4,986
ევროზონის ქვეყნები	514	210	685
სხვა ევროპული ქვეყნები	530	416	303
სხვა რეგიონები	79	77	60
	12,366	9,104	9,151

ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის საკრედიტო რისკი იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება		
	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
საბითუმო კლიენტები	9,391	6,596	4,808
საცალო კლიენტები	1,448	1,198	1,227
საბოლოო მომხმარებელი	1,527	1,310	3,116
	12,366	9,104	9,151

გაუფასურების ზარალი

ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადიანობა იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება		
	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
ვადა გაყიდვის თარიღის შემდეგ			
0-დან 30 დღემდე	8,996	5,119	4,942
31-დან 120 დღემდე	1,238	1,417	2,842
121-დან 180 დღემდე	695	427	515
181-დან 360 დღემდე	1,437	2,141	852
	12,366	9,104	9,151

ზემოთ მოცემულ ცხრილში ვადიანობა დაანგარიშდა გაყიდვის თარიღის მიხედვით. ხელშეკრულებაში მითითებული გადახდის საშუალო ხანგრძლივობა წარმოადგენს 90 დღეს.

ხელმძღვანელობის გამოცდილებიდან და შესაბამისი კლიენტების საკრედიტო რეიტინგების (ასეთის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში) ანალიზიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება 3,100 ათასი ლარის ოდენობით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2016 წელს: 2,914 ათასი ლარი) კვლავ ამოღებადია.

წლის განმავლობაში სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების რეზერვში მოძრაობა იყო შემდეგი:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ნაშთი წლის დასაწყისში	(293)	(102)
აღიარებული გაუფასურების ზარალი	(54)	(229)
ჩამოწერილი მოთხოვნების აღდგენა	18	35
ჩამოწერა	(14)	4
ნაშთი წლის ბოლოს	(343)	(293)

ლიკვიდურობის რისკი

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფლობს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს 1,664 ათასი ლარი ოდენობით (2016 წლის 31 დეკემბერი: 3,620 ათასი ლარი), რომელიც წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ამ აქტივებზე. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ადგილობრივ ბანკში, რომელსაც ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ მოკლევადიანი დეფოლტის რეიტინგი BB-. ხელმძღვანელობა არ მიაჩნია, რომ კონტრ-აგენტი ვერ შეასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრების ან ფინანსური აქტივების

საშუალებით. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა მოითხოვს შესაბამისი ფულადი სახსრების და დაფინანსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ადეკვატური ოდენობით სასესხო ინსტრუმენტების გამოყენებით.

ლიკვიდურობის რისკზე დამოკიდებულება

ქვემოთ წარმოდგენილია ანგარიშგების თარიღში ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადიანობა. თანხები ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით არის წარმოდგენილი და ისინი მოიცავს პროცენტის მოსალოდნელ გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთგაქვითვის ხელშეკრულებების გავლენას.

31 დეკემბერი 2017

	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები					
	საბალანსო დირებულება	სულ	მოთხოვნამდე 2 თვეზე ნაკლები	2-დან 12 თვემდე	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე
'000 ლარი						
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	12,266	15,991	-	-	-	15,991
სესხი მშობელი კომპანიისგან	2,546	3,937	-	-	-	3,937
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	1,032	1,302	-	107	219	617
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,440	5,136	2,936	1,927	-	-
	19,284	26,366	2,936	380	219	20,545

31 დეკემბერი 2016

	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები					
	საბალანსო დირებულება	სულ	მოთხოვნამდე 2 თვეზე ნაკლები	2-დან 12 თვემდე	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე
'000 ლარი						
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	8,563	9,197	-	9,197	-	-
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	621	621	621	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,092	3,092	1,529	-	-	1,563
	12,276	12,910	2,150	9,197	-	1,563

2017 01 და სხვა ვალდებულებებისგანები ღში ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი
 სილმძვანელობამა ვალდებულებებისგანები ციამდვანელობამა
 ვალდებულებებისგანები ნიამდვანელობამა ვალდებულებებისგანები
 იიამდვანელობამა ვალდებულებებისგანები ისამდვანელობამა

ვალდებულებებისგანები ღში ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სილმძღვანელობამა ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადიანობა. თანხები ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით არის წარმოდგენილი

ხელმძღვანელობის ვალდებულებებისგანები ღში ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სი

- 2017 ღვანელობის ვალდებულებებისგანები ღში ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადიანობა. თანხები ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით არის წარმოდგენილი და ისინი მოიცავს პროცენტის მოსალოდნელ გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთგაქვითვის ხელშეკრულებებისდადასტურეს განზრახვა, რომ ისინი არ მოითხოვდნენ „კომპანიის“ და მისი შვილობილი კომპანიების ვალდებულებების დაფარვას ხელშეკრულებაში განსაზღვრულ დაფარვის ვადაზე (2020 წლის 1 ნოემბერი და 2021 ვანელობის ვალდებულებებისგანები ღში ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადიანობა. თანხები ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით არის წათულებების გადალახვაში.
- მშობელმამისლობის ვალდებულებებისგანები ღში ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადიანობა. თანხები ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით არის წათულებების გადალახვაში.ოიცავს პროცენტის მოსალოდნელ გადახდებს

მოსალოდნელიობიდეკემბერი) ადრე (იხილეთ შენიშვნა 17) და რომ საჭიროების შემთხვევაში გადაავადებდნენ სესხებს, რათა დაეხმარონ „ჯგუფს“ არსებული ფინანსური სირთულებისს, რათა დაეხმ.

საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებებს კისრულობს საბაზრო რისკების მართვის მიზნით. კომპანია არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებაში ან ზარალში ცვალებადობის მართვის მიზნით.

სავალუტო რისკი

ჯგუფის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფი არ დგას მნიშვნელოვანი სავალუტო რისკის წინაშე, რადგან მისი გაყიდვები, შესყიდვები, სესხები და სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაშია დენომინირებული.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, დიდ გავლენას ახდენს სესხებსა და ვალდებულებებზე, რადგან ეს გამოიწვევს სესხის სამართლიანი ღირებულების (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ცვლილებას ან გავლენას მოახდენს მომავალში ფულადი ნაკადების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ ჯგუფის ფინანსური ვალდებულებებიდან რამდენი უნდა იყოს ფიქსირებული და რამდენი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით. თუმცა, ახალი სესხის აღების დროს, გადაწყვეტილების მიღებისას, მენეჯმენტი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება ჯგუფისთვის - ფიქსირებული თუ ცვალებადი.

ზოგადი რისკები

ჯგუფს გააჩნია შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მიმართულია საოპერაციო რისკების (მაგ. თაღლითობა, ქურდობა, და ა.შ.) შემცირებისაკენ. რეგულარულად ხდება მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და აღწერა, რაც ხელს უწყობს მაღალი დონის დაცულობას მსგავსი რისკებისგან. შიდა შემოწმებების შედეგად უკანასკნელ პერიოდში რაიმე სერიოზული ხარვეზი ან დანაკლისი არ გამოვლენილა.



შპს „KPMG Georgia“
 ჯი ემ თი პლაზა, მე-5 სართული
 თავისუფლების მოედანი №4
 თბილისი, 0105
 საქართველო
 ტელეფონი: +995 322 93 5713
 ინტერნეტი: www.kpmg.ge

სს მარუსია (საქართველო)
 ნავთლუდის ქ. №8ა

ჩვენი საცნობარო
 ნომერი: 90/11093/18

3/12/2018

მმართველობითი ანგარიშგების უწყისი

ძვირფასო ბატონებო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2018 წლის 3 დეკემბერს გამოცემულ „მმართველობითი ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2018 წლის 28 სექტემბრით, გამოცემულია კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორული დასკვნაში, 2018 წლის 30 ნოემბერს, არ ეხება მმართველობითი ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2018 წლის 30 ნოემბრის შემდეგ. მმართველობითი ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვეცით რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,
 ვარსკვლავი
 აუდიტის დეპარტამენტის დირექტორი
 შპს „KPMG Georgia“




შპს „KPMG Georgia“, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „KPMG“-ის ქსელის დაშლადიწველი წევრია, რომელიც ერთიანდება მუდმივად ორგანიზაციაში „KPMG International Cooperative („KPMG International“).

